

ლიტერატურული გაზეთი

ჯარჯი ფხოველი

აჰა. სტრიქონები. სულახლები...

ფურცელს ისე მოძ აჩნია.

მოგონს ნაცყვიაში დაფუცილი ველის ბაღები...

ეყვითლები: ეს ფურცელი ვინ გაიძევა.

ქართული სიტყვის ძვალთქსალაგი.

ანდა ეული ვინ გაიძევა.

ძველი დაბღის ძვალთქსალაგი...

ანდა სისხლი ვინ გაიძევა!

ამ ბაღებს ჯღვის ყვალის რცყობა.

ამ ბაღებს სისხლის ძხვვის რცყობა...

რცყობა

ძოვარის ციფი ცრქძლი. ძყალაძყმი...

და იძისი თანაღძმბის სელის რცყობა.

ვინც ჭმიღობა დაეიძა და.

ვინც ნაცყვიაში დაეიფია ველის ბაღები!

IV-V

გაგა ნახუკრიძელი

ნოსტალგიური ჩანახაფი

ძოვონებებს ხალხი ვაჭყვა.

ვინც ძიყვარდა და ძაყლია.

ივლისია. სიცხე. ახლა.

ძხუძ ვიჭრები ვაღაძლია.

ძოვონებებს ქალი ვაჭყვა.

ღაიბაღა: აღაძ მოვალ!..

ზაძთარია. ყინაღს ახლა.

ძოვებძის თუთმად ჩაძოთოვა.

ძოვონებებს ვაჭყვა ყვალი.

ამ დასტოვა აზაფერი.

ღარჩა ყოფის სიფრძქობთალე.

ძარსტოობით დაწაფერი.

IX

დასასრული
დასაწყისი №172-174

13 მაისი
ვოვა

ჩემო გურამ!
ძალიან ბევრზე მსურს, გელაპარაკო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე პირადად გნახავ და მაშინ მოგიყვები ყველაფერს. ახლა ერთი თხოვნა მაქვს. მინდა, გუნდში დავბრუნდე შენთან ერთად. რაც შეიძლება, მოკლე დროში, ხვალვე ჩამოდი და გთხოვ, რომ ოცდაექვსში ბოლო საკონტროლო თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამას გთხოვ მე და ამას გთხოვს ახალი მწვრთნელი სოლოვიოვი. პირველი, რაც მან თქვა, ეს იყო, რომ გურამი და შოთა გუნდში თუ არ დაბრუნდებიან, მე ვერ ვიმუშავებო.

ახლა რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო გურამ, შენს სახლში, ცხინვალში, ვნერ ამ წერილს დედაშენის და მამაშენის თანდასწრებით. მივიღებ ჩვენი ძმობის დასტურად შენს ხვალ თბილისში ჩამოსვლასა და „დინამოში“ თამაშის დაწყებას. გურამ ცხოვრებოვს. შენი ძმა — შოთა იამანიძე. 20.03.67 ცხინვალი“
დემიკო ლოლაძე. „შოთა იამანიძე“

თბილისის „დინამოში“ ოსი ფეხბურთელების თამაშს დიდი ხნის ისტორია აქვს და ცალკე ამბავია. მიშა პირავეი, ანდრო ზაზროვი, რომელიც ლეგენდარულ 35-ე სკოლაში ერთადერთი გამოესარჩლა ჯერ კიდევ მაშინ ყველასთვის უცნობ მიხეილ მესხს, რომელსაც ეჩხუბებოდნენ, უკან რატომ არ ჩამოდიხარო — „როდის იყო, თქვე შობელძაღვლებო, სნაიპერი ტყვია წამალსა თვითონ ეზიდებოდა!“ ზაურ კალოევი, რომელიც გივი ჩოხელითან, სლავა მეტრეველთან და მიხეილ მესხთან ერთად მეოთხე ქართველი ფეხბურთელი იყო 1960 წლის ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა მოედანზე არ გამოსულა, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი, ბახვა თედევი, ზაურ ხაპოვი...

მაგრამ ვლადიმერ გუცაევი ამათში ყველაზე ტიტულოვანი და გამორჩეული ნიჭისა და გაქანების ფეხბურთელი იყო. განსაკუთრებული იღბალი დაჰყვა. შეიძლება, ბევრს არც ახსოვს, რომ 70-80-იანი წლების ვარსკვლავური შემადგენლობიდან ყველაზე დიდხანს, 1971-1986 წლებში, ანუ თხუთმეტი სეზონი ითამაშა თბილისის „დინამოში“ და ყველაზე მნიშვნელოვანი გოლებიც გაიტანა — „ლივერპულთან“ ჩემპიონთა თასზე თბილისში, თასებს თასის მეოთხედფინალში „ვესტ ჰემთან“ ლონდონში, ნახევარფინალში „ფეინერორდთან“ და ბოლოს ფინალში „კარლ ცეისთან“. და ახლა 13 მაისს, ამ ფინალის დღეს, როდესაც აგერ უკვე 35 წელია, მთელ საქართველოს ახსენდება კოტე მახარაძის ხმა: „შენგელია აბვილო ადნავო, ვტაროვა, გუცაევი... უდარ!.. გოლ! გოლ! გუცაევი, ვალოლია, მალაღვი!“ და ამის მერე, მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, ოჩამჩირელი აფხაზი ბიჭის, ვიტალიკა დარასელიას ფანტასტიური სლალომი, ცაციათი შეგდებული და მერე, ყიფოს მხრებზე გახარებული ბურთი, მე სულ სხვა, თუ არ ვცდები, გუცაევის ბოლო თამაში გამახსენდა თბილისის „დინამოში“.

ვლადიმერ გუცაევის კარიერის დასაწყისი „დინამოს“ კრიზისს დაემთხვა. თუმცა ამ კრიზისს მალე ვარსკვლავური აღმავლენა მოჰყვა 1976-დან 1982 წლამდე, და თასების თასის აღებიდან მეორე წელს, ამავე გათამაშების ნახევარფინალში, ერიკ გერეტის ლიეჟის „სტანდარტთან“ დამარცხებით, ვიტალი დარასელიას ტრაგიკულად დაღუპვით და დავით ყიფოსის ფეხბურთიდან წაადრეკვად წასვლით დასრულდა. ამის შემდეგ, 1983 წლიდან, თბილისის „დინამოში“ და ქართულ ფეხბურთში დაიწყო კრიზისი, რომელიც დღევანდელი კატასტროფით დამთავრდა.

მაშინ კი, 1986 წელს, ეს მორიგი კრიზისი გვეგონა და ალაგ-ალაგ გამონათებებით გულმოცემულები მინც იხტბარბინანდ ვიყავით. ვლადიმერ გუცაევი კი თავის კარიერას ამთავრებდა და უკვე მოგებულ შპონდა ყველაფერი, რისი მოგებაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელსა და ნახალოვკაში გაზრდილ ოს ბიჭს შეეძლო. ის ამ გუნდის ლეგენდა და თილისმა გახდა.

იმ სეზონზე, 1986 წელს, „დინამოში“ ნოდარ ახალკაცი დაბრუნდა და თითქოს რაღაცას ავფართხალდით. მეხუთე ადგილზე გავედით, მაგრამ ეს ის არ იყო. ალექსანდრე ჩივაძეს, თენგიზ სულაქველიძეს და რამაზ შენგელიას ასაკი დაეტყვოთ, გუცაევი სულ უფრო და უფრო ხშირად იჯდა სათადარიგო სკამზე, ახალგაზრდები კი ვერა ქაჩავდნენ, მუშთაიდის ბალის ძველი გულშემატკივრების ხმები დადიოდა, მაგათ რა უნდა ითამაშონ, ანაშას ენევიანო.

მოკლედ, 1986 წელი იყო და ერთ წვიმიან დღეს, ოლონდ ეგ აღარ მახსოვს, გაზაფხულის წვიმა იყო თუ შემოდგომისა, ზაფხულისა ნაღდად არ იყო და ზამთრისა ხომ აღარ და აღარ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ ვეთამაშებოდით. ეს ის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ აღარ იყო, სულ რამდენიმე წლით ადრე, სადაც დავიჭერდით, სულ 5:1 რომ ვუგებდით. 1983 წელს, სწორედ იმ სეზონზე, ჩვენ რომ კინალამ უმაღლესი ლიგიდან გამოვვარდით, პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მერე 6 სეზონი მესამე ადგილს აღარ ჩამოსცილებია, 1988 წელს კი ისევ

ბექა ქურხული

უკანასკნელი ჩანაწერები



მოიგო ჩემპიონატი. იმ წელსაც ძალიან მაგარ ფორმაში იყო, და, აი, ამ „დნეპრს“ გადაეყარა ეს ჩვენი დაბერებული და განახევრებული თბილისის „დინამო“...

უკრაინული საფეხბურთო სკოლა, მოგეხსენებათ, კიევის „დინამოდან“ და ვალერი ლობანოვსკიდან დაწყებული, დნეპროპეტროვსკის „დნეპრით“ და დონეცკის „შახტორით“ დამთავრებული, თავისი ფიზიკური მონაცემებითა და მომზადებით იყვნენ გათქმულები. ტექნიკითაც არავის ჩამოუვარდებოდნენ და ახლაც კენტავრებივით დაქენაობდნენ „დინამოს“ სტადიონზე, დაწვიმდა. მეორე ტაიმის შუა წელი იყო, 1:0-ს გვიგებდნენ და მთელი თამაში მაგათ მიჰყავდათ, რამდენჯერმე სასწაულით გადავრჩით. ოლეგ პროტასოვი, ვლადიმერ ლიუტი, ოლეგ ტარანი ისე დაშხუოდნენ ჩვენი სტადიონის მწვანე გაზონზე, კოკისპროული წვიმისგან დამდგარ გუბებზე რომ გაიკბენდნენ, წყლის ლანალუნის ხმა ტრიბუნებზე ამოდებოდა. თბილისის „დინამოს“ ძველი და დიდი ბანდიდან მოედანზე ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია იყვნენ და ისევ მაგათ ეჭირათ თამაში... მახსოვს, როგორ ცდილობდა შენგელია, თავისზე ორჯერ მაღალ მცველებს დატყდებოდა, ცენტრში სიბრაზისგან და დაღლილობისგან ქალაღისფერდადებული ალექსანდრე ჩივაძე იდგა, რომელიც კაპიტნის სამკლავურიან მარჯვენა ხელს „დნეპრის“ კარისკენ მთელ სიგრძეზე იშვებდა, გაზუნყველივით რაღაცას ყვიროდა და, როგორც ყოველთვის, გავებებული, სახემოქცეული თენგიზ სულაქველიძე, რომელიც მხარს თუ ჩაუდგამდა, იქვე აჩერებდა უკრაინელ ფეხბურთელებს, ჯანით ვერ ჯაბნიდნენ, მაგრამ სისწრაფეში უჭირდა. თან ძალიან დაილაღნენ. ამ სამ ბებერ გვარდიელზე იდგა მთელი გუნდი და ამათაც არაქათი

გამოეცალათ. ვლადიმერ გუცაევი კი მთელი ტაიმნახევარი სათადარიგო სკამზე იჯდა, და წვიმდა, ცა ფეხად ჩამოიღვარა, ისე წვიმდა. დნეპროპეტროვსკელ ფეხბურთელებს კი დაღლისა არაფერი ეტყობოდათ, აწყვეტილები დარბოდნენ და მაგრად გვანვებოდნენ.

დასავლეთის ტრიბუნაზე ვისხედით. ფეხბურთზე, ძირითადად, ჩემს კლასელ გიორგი ხანთაძესთან და მის უფროს ძმასთან, მიშასთან ერთად დავდიოდი. ერთ ეზოში ვიზრდებოდით. მამაჩემი ჯემალა გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების რედაქტორი იყო, ამათი მამა გურამა ცეკაში მუშაობდა და ყოველ წელს ჰქონდათ დასავლეთის ტრიბუნაზე, სამთავრობო ლოჟასთან აბონიშნები. დავითრეველი ამ ჩვენი შიშვა მამების აბონიშნებს და მივდიოდით. მართლა მაგარი ადგილი იყო, მაგრამ ახლა ადგილი და „ზაპადნი“ აღარ გვენაღვლებოდა, ძალიან ცუდად გვქონდა საქმე, მეორე ტაიმის დამთავრებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა, ვაგებდით და სიმწრის ცრემლები და თავსხმა წვიმა ერთმანეთში გვერეოდა. ჩემს გვერდით ერთი უზარმაზარი, მოხეული ბიძა

და. სტადიონზე დაწყებული სტიქიური გრიგალი თანდათან მატულობდა და რაღაც მუქარიანი, მრისხანე და თან წინასწარმეტყველურიც კი იყო.

„ვოვა!..“ „ვოვა!..“ „ვოვა!..“ „ვოვა!..“ — გულშემატკივრებს თითქოს გულმა უგრძნოთ. ისინი თავის ლეგენდას ითხოვდნენ...

და სარბენ ბილიკზე ვოვა გუცაევი გამოჩნდა. ტრიბუნებმა ვულკანივით იფეთქეს. ისეთი იხუვლეს, როგორც ეს მხოლოდ გოლის გატანის დროს ხდება. თუმცა გოლი ჯერ არსად იყო. სარბენ ბილიკზე ტანმორჩილი, ვეტერანი თავდამსხმელი, „დინამოს“ უკანასკნელი დიდი გარემარბი იდგა და საკუთარ, მშობლიურ სტადიონზე ღვართქაფად წამოსული წვიმა ასველებდა. ახლაც თვალწინ მიდგას ლურჯი ფორმა, 13 ნომერი, აი, ეგეთი, ციფრებში კიდევ შიგ ჩახაზული ზოლებით, ნეონების შუქით განათებული, თითქოს შევერცხლისფერული ხუჭუჭი თმით...

ვოვა გუცაევი სტადიონზე შევიდა და ეგრევე აუტის ხაზთან მიიღო ბურთი. გუცაევის ბურთთან შეხება და სტადიონზე რამდენიმე წუთის წინ დაწყებული სიგიჟე რაღაც უცნაურ მისტიკურ ტრანსში გადავიდა. მართლა წინასწარმეტყველურ ტრანსში. ალაღად არც მისტიკის, არც ტრანსის, არც წინასწარმეტყველების, არც სხვა განზომილებების და არც უცხოპლანეტელების არაფერი მწამს, არც მჯერა, არც მაინტერესებს. ვნახავ მაგ სხვა განზომილებას ან უცხოპლანეტელს, დავიჯერებ, მანამდე კარგად იყვნენ, და ეს კიდევ ჩემი თვალთ ვნახე 12 წლის ლანირაკმა და აგერ 41 წლის ბებერს გუმინდელი დღესავით მახსოვს. და ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ათეულმა ათასმა თბილისელმა ნახა, რომლებმაც ისეთი ყიჟინა დასცეს, როგორც კი გუცაევი ბურთს შეეხო, რომ ჩემი თვალთ დავინახე, სტადიონის პროექტორების შუქზე მბრწყინავი, მიჯრით, მკვრივად წამოსული წვიმის წვეთები როგორ აბრუნდნენ უკან ცისკენ...

ვოვამ ბურთი წამოიღო და ფრთაზე გავარდა. ჩვენ ყველამ ვიგრძენით, რაღაცა უნდა მომხდარიყო, რაღაც სასწაული. მთელი სტადიონი ფეხზე წამოვხტით და ისე ვლრიალებდით, რომ ნიაგარის ჩანჩქერის ხმისა არ იყოს, ხმაური იყო თუ სირიუმე ვეღარ გაარჩევდი — ყურები რომ გიგუბდებოდა რა...

წამოიღო ბურთი და იქვე, ფრთაზე, ჯერ ერთ მცველს გასცდა, ფრთაზევე ფინტით წამოიკიდა მეორე მცველი, მკვეთრად შემობრუნდა მარცხნივ, „დნეპრის“ საჯარიმოსკენ მესამესაც აჭამა, მეოთხეს ფეხზე წამოედო და ზუსტად ისე ოხრულად გაცურდა მუცელზე, როგორც მაშინ, როცა ევროპის საფეხბურთო გრანდებს პენალტს აპკიდებდა ხოლმე. ოლონდ ეს საჯარიმოს გარეთ იყო, ზედ ხაზთან, მაგრამ გარეთ. სტადიონზე უწონადობა დაიწყო. ეს ამხელა, ჯადოსნური, ქართული და თბილისური სულით გაჟღენთილი, განათებული თასი ლამის იმ წვიმის წვეთებს აჰყვა ცაში.

ბურთთან ალექსანდრე ჩივაძე მივიდა. იმ დღეს ჩივაძემ რამდენჯერმე დაარტყა ჯარიმა და ვერაფერი, იმის მიუხედავად, რომ ალექსანდრე ჩივაძე მსოფლიოს იმ სამ ლიბეროს შორის არის, ვისაც ყველაზე მეტი ბურთი აქვს გატანილი, გერმანელ ფრანც ბეკენბაუერთან და არგენტინელ დანიელ პასარელასთან ერთად, მაგრამ აქ ყველამ ვიცოდით, რომ გოლი გავიდოდა. ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენით, როცა ტრიბუნებმა ჯერ კანტიკუნტად, მერე კი ერთხმად „ვოვა-ვოვას!“ დახილი დაიწყეს, მერე, როცა ვოვა მოედანზე გავიდა, ბურთი მიიღო, ფრთაზე გავარდა და პირველი მცველი წამოიღო მატაობით.

ალექსანდრე ჩივაძე ბურთთან მივიდა, ხელში აიღო, გაასწორა და დადო. და წვიმდა.

მე არ დამინახავს, ბურთი როგორ გავიდა. მგონი, არც არავის დაუნახავს, მათ შორის, არც ალექსანდრე ჩივაძეს, ვოვას და შენგელიას. ბოლოს რაც დავინახე, ეს იყო — ომით გააღაქანებული და ფეხებდანყვეტილი ჩივაძე წელი სორბლით დაიძრა ბურთისკენ, თეთრ მაისურებში გამოწყობილი, ცოცხალ კედლად ჩამდგარი დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები სამხრეთის ტრიბუნებთან, აი, სადაც „პაჟარნი კამანდა“ და სასწრაფო დგება, კარის კუთხე, მარჯვენა „კრესტავ-

ეს გუგუნის რამდენიმე წუთს გაგრძელებ



ინა“, მსხვილი წვიმის წვეთები, ალექსანდრე ჩივაძის ზურგი, ლურჯი ფორმით და 3-იანი...

გოლი რომ გავიდა, იმითაც მივხვდი, რომ ჩემს გვერდით მჯდომმა, სიხარულისგან გონზე გადასულმა მოხეულმა ბიძამ ხელი მტაცა და იმ სიმაღლეზე შემისროლა, ჩემს ქვევით ტრიბუნები დაპატარავდა. მე არ მახსოვს, დამიჭირა თუ არა იმ ბიძამ, დავეცი თუ გადავრჩი, მახსოვს, რომ გავვიფიქრე, მახსოვს, რომ მთელი სტადიონი გადაირია, მახსოვს, რომ რაღაც სასწაული მოხდა, რაღაც ამოუხსნელი და ეს მოხდა ამდენი ათასი ადამიანის თვალწინ.

ცოტა ხანში გაისმა საფინანსო სასტეფენის ხმა და თამაში დამთავრდა. მოედანს ტოვებდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ ფეხბურთელები, რომლებიც კიდევ ხუთ ტაიმს ითამაშებდნენ, არაქათგამოლეული ძველი გვარდიელები და ვოვა გუცავეცი, რომელმაც თავისი დაბერებული და განახევრებული გუნდი დამარცხებისგან იხსნა. და უცებ ტრიბუნებზე, სულ რამდენიმე წუთის წინ აპოკალიფსურ ვულკანს რომ ჰგავდა, უცნაური, საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. არც „დინამო...“ არც „ვოვა!“ არც ტაში, არაფერი!.. სრული სიჩუმე!.. სტადიონი მიხვდა, რომ დღესასწაული დამთავრდა. თვითონ ვოვა გუცავეცი თავჩალუნული მიდიოდა. თავიც არ აუწევია, ისე შევიდა გასახდელის გვირაბში.

და წვიმდა! წვიმდა, ეგ ბოზიშვილი! აი, ეგ იყო, მგონი, ვლადიმერ გუცავეცის ბოლო თამაში. მე მეტი მოედანზე აღარ მინახავს...

აი, რა გამახსენდა 2016 წლის 13 მაისს — 1981 წლის 13 მაისიდან 35 წლის შემდეგ.

19 მაისი
კახური ამბები

მე არასოდეს დამავიწყდება, საიდან მოვდივარ. ნაქირავები ცხენებით დალესტნიდან ბენზინს როგორ ვეზიდებოდი. მერე ამ წვალეთითა და უბედურებით რაღაც გამოვივიდა. თან გამიმართლა. როცა წვალბო და რაღაცას ცდილობ, მაშინ გიმართლებს, ისე არაფერი გამოვა.

მეც გამიმართლა ბოლოს და პირველი დიდი ფული ვიშოვე. თან პატარა ბიჭი ვარ ისე რა, დიდი კი არა ვარ ძან...

წამოვედი ეგრევე თბილისში და ბავშვობიდან ნაოცნებარი ახალთახალი თეთრი „ნივა“ ვიყიდე. მოკლედ, ფული მაქვს, მანქანა მყავს, მაგარი ბიჭი ვარ და უკვე სხვანაირად დავდივარ. ეს ცხენებიც დავყიდე. დალესტნის გზა იგრედაც დაიკეტა და აღარცა გვაქვს იქით საქმე.

კვირის დღეა, ბაზრობა, და აიღო მამაჩემმა ცხენის „ხომუტი“ და წაიღო გასაყიდად. აბა, ცხენები აღარ გვყავს და „ხომუტი“ რაღად გვინდა?! ალიონზევე წავიდა. მეც ცოტა ძილი გავიბრტყეე, რა ძალა მედგა, დილაადრიან წამოვმხტარიყავი. მერე ჩავჯექი ჩემს თეთრ „ნივაში“ და ჩავედი ბაზარში, ისე, გასართობად, ხალხი ვნახო, ბიჭები, ახალი ამბები, რავი... კარგათა ვარ რა, ცხოვრება მიხარია, მეხალისება ყველაფერი...

გავიხედე, დამდგარა ეს მამაჩემი, გადაუკიდია მხრებზე „ხომუტი“ და ჰყიდის. ჰყიდის, მაგრამ რას გაყიდის, სხვები რომ 17, ჰა-ჰა, 18 ლარად ყიდიან, ეს 50 ლარს აფასებს, ფეხს არ უტკვლის... დგას ეგრე მთელი დილაა, უკვე იშლება ბაზარი. ხო გეუბნები, ფული ვიშოვე, სხვანაირად

მომაქვს თავი, თან ბიჭი ვარ ისევე, მეხამუშა რა, შემრცხვა. ერთ ჭიკაძენელ კაცს ვთხოვე, ვიცნობდი კარგად: შენი ჭირიმი, აჰა 50 ლარი და მიდი და გამოართვი, სირცხვილია-მეთქი. მომიტანა ამ ჭიკაძენელმა კაცმა ეს „ხომუტი“. შევადგე მანქანაში და წამოვედი. ბიჯო, სახლში რომ მოვედი, შავ და ეშმაკად, მექანიკურად ეს „ხომუტი“ მარანთან თავის ადგილზე დავკიდე და ძმაკაცებთან წავედი პურის საჭმელად. კვირა დღეა რა...

მოვიდა მამაჩემი სახლში. კარგ ხასიათზეა. სხვებმა რომ 18 ლარებში ვერ გაყიდეს, ამან 50 ლარიანი ჩაიღო ჯიბეში კოხტად. შემოვიდა ჭიკაძეში ლილინ-ლილინით, როგორღაც გუნებაზეა, იქ დედაჩემს თვალი ჩაუკრა — „აბა, როგორაა, დედაკაცო, საქმე...“ გაიარა, გამოიარა, შეიხედა მარანში და ბიჯოს!.. პირკატა ეცა... ე, ჭიკაძენელ კაცზე მიყიდული „ხომუტი“ თავის ადგილზე არა ჰკიდა?.. იტაცა ჯიბეში ხელი, ამოჰყვა ახალთახალი 50 ლარიანი...

ძალიან ცუდად ვახდა, რო მეტი არ შეიძლება. მივიდა, წამოწვა ბანის ქვეშ კუშქუკაზე. გახედავს ამ მარნის ბოძს, იქ არი, კაცო, თავის ადგილას ჰკიდა „ხომუტი“ პატიოსნად, ჩაიყოფს ჯიბეში ხელს, ე, 50 ლარიანიც აქა... გადადის ფერფური...

დედაჩემმაც გამოჰხედა. ეხლა მშვენივრად იყო კაცი, სუ დაბალ ხმაზე მღეროდა, უცებ კაცის სახე არ ადევს. აქეთ ამას შეეშინდა... „რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდა...“ „არაფერი, არაფერი...“ წამოინია კიდევ, გაჰხედა მარნის ბოძს. იქ არი „ხომუტი“, ქანაობს...

დაჰხედა ამ ორმოცდაათლარიანს, ესეც აქ არი და მაშინ კი გასძახა დედაჩემს — მოიდა, გოგო, მეზობლებში გადადი, წნევის აპარატი ექნება ვინმეს, გამოართვი, თორემ ვერ ვარ რაღაცა კარგადო...

ეხლა სანამ „ხომუტს“ გაჰყიდა, მკერდას შვილიშვილმა რა გაუკეთა კიდევ... ეს დალესტნობა რომ მოვილიეთ და ცხენები დავყიდე, ერთი თეთრი ცხენი დავგვრჩა და ისიც გაიყვანა კვირის ბაზრობაზე

გასაყიდად. თოკი აქვს ჩაბმული ცხენისთვის. ჰყიდის. თან ამვლელ-ჩამვლელს ელაპარაკება, თანასოფლელებს, უკან არც იყურება. მიეპარა ე მკერდას შვილიშვილი — პაპამისს მკერდას რატომ ეძახიან, არ იცი? ე, ეგ როგორ არ იცი... პაპამისს მკერდას ბალოჯიანი გოგო მოეწონა რა, იმერელი, მაგის ბაბო, ჰოდა, იმ სოფლიდან გამოიტაცა მარტოკამ, მხარზე გადადებულ ამოიყვანა ჩვენს სოფლამდე ფეხით. მაშ, ზურგზე მოკიდებული, რავი, ვერ გაეცა, არ გაეცა და დაარქვეს მკერდა... ჰოდა, ესეც მკერდას შვილიშვილი არ არი?! მიეპარა მამაჩემს, ჩუმად შეხსნა ეს თეთრი ცხენი, სხვისი წითურა ცხენი ჩაუბა და ერთი კაცი შეაქეზა — მიდი, უთხარ, კაცურად, თეთრ ცხენს ვეძებ, თეთრი ცხენის ყიდვა მინდაო...

მოვიდა ეს კაციც. გამარჯობა, გაგიმარჯოს. თეთრი ცხენის ყიდვა მინდა, ჩვენებურო, ხო ვერ მიმასწავლიო. მე ვყიდი თეთრ ცხენსაო — გაჰხარებია მამაჩემს. რას ამბობო... გასცინებია იმ კაცს... თან განა იყურება უკან, მიჯიჯინებულა ისე წინა, თოკი უჭირავს მარტო ხელში. რას ამბობ, ვყიდი, კაცო. კაი, რაღას მამასხარავებ ამხელა კაცს, არა გრცხვინაო? — ძალიან სწყენია იმას. მოზრუნებულა ეს მამაჩემიც, როგორც იქნა, და თავის თოკზე ჩაბმული ვილაღის წითელი ცხენი უქნევს თავს...

ახლა იქ წასვლია და გადაქანებულა, იქ დასჭირვებია წნევის აპარატი...

24 მაისი

მარიამმა, არ მომწონს ეს ჩანაწერებიო, აკრეფის დროს მითხრა.

ვერაფრით მივეჩვიე კომპიუტერში წერას. ბოლო წიგნიც — „სამოთხიდან გაქცეულები“ — რვა რეჟისორი დავწერე. მარიამის აკრეფილია ისიც...

ჰოდა, არ მომწონს ეს ჩანაწერებიო, მითხრა. ადრინდელი უფრო მომწონს — აქ, იცი, რა იგრძნობა და როგორი შთაბეჭდილება მრჩება, აი, უკვე საკუთარ თავში დარწმუნებული რომ ხარ და იცი, რომ მაგარი ხარ და ეგრე წერო...

მაგრად გამეცინა. სიცოცხლეში ასე ცუდად, უმწეოდ და ჰაერში გამოკიდებულად არ მიგრძენია თავი, არც ასეთი შემინებული არ გყოფილვარ და არც ასეთ გამოუვალ სიტუაციაში არ მოვხვედრილვარ. სიკვდილს რა გამოსავალს მოუძებნი, მაგ ბოზიშვილს?

ეტყობა ქვეცნობიერად, ან, როგორც ნინია კაკაბაძე იტყოდა, „ქვეცნობიერში რომ ჩავიხედე“ და იქაც, ქვეცნობიერშიც და ზეცნობიერშიც ერთნაირად მქონდა კეთილები ახეული, ეგრევე ბლატაობა დავინყე და ვიღუკები გავითხარე...

შეიძლება! ქვეცნობიერს რას გაუგებ, ან ზეცნობიერს...

და შენ გაღმაცნობიერში რომ გახვალ, მერე ნახე...

მით უმეტეს, თუ ეს „ქვეცნობიერში ჩახედული“ სასტავი ცდება და ღმერთი მართლა არსებობს...

ოჰაა! მერე ნახე სეირები, ამიგოო! თან ვერ უნდა იყოს მაინცდამაინც

კეთილგანწყობილი და კარგ გუნებაზე, თავის შექმნილ ადამიანებს, პლანეტებს და რამერუმეებს რომ უყურებს — განსაკუთრებით ამ ბოლო დროს...

30 მაისი

დამთავრდა. ესეც „უკანასკნელი ჩანაწერების“ დასასრული.

ხვალ ირაკლა ჯავახაძეს ვუგზავნი დიდ რაზბორკაზე.

ვერასდროს ვიტანდი განშორებას, დამშვიდობებას. ცუდ ხასიათზე მაყენებს, სევდიანზე.

განსაკუთრებით რთულია საკუთარ ნაწერებთან დამშვიდობება. მით უფრო, თუ „უკანასკნელი ჩანაწერები“ — იმიტომ, რომ მართლა უკანასკნელია.

დავიღალე. აღარ მინდა. თითქოს სათქმელიც აღარ დამრჩა, ყოველ შემთხვევაში, ჩანაწერებისთვის.

ეგეც ვიცი, რომ გოეთემ 80 წლისამ დაწერა „ფაუსტი“. დაწერა და დაწეროს, მე რა ვუყო? ჯერომ სელინჯერმა კიდევ ყველაზე მაგარი მარტო „თამაში ჭვავის ყანაში“ დაწერა და მერე ერთი ხოშიანად დაიკიდა ფეხებზე შემოქმედებითი წვადაგვაც და ლიტერატურული მოღვაწეობაც...

მით უმეტეს, რომ ის „თამაში ჭვავის ყანაშიც“ მშვენივრად ეყო ვილაც გამოსირებულ მანიაკს, საწყალი ჯონ ლენონისთვის მანამდე გაეფუძლეკინებინა ფეხები, ვიდრე ამას მისი იოკო მოახერხებდა.

ერთი ეგ არის, ხვალღიან რას გავაკეთებ, აღარ ვიცი, მაგრამ არც ეგ არის დიდი ბედენა საქმე, მოვიფიქრებ რამეს...

„აი, ასე იყო ეს ამბავი“. ასე მთავრდება დედაჩემის უკანასკნელი წიგნი. ისიც ჩანაწერებია.

აი, ამ წამსაც არ ვიცი, ესეც როგორ და სად დამთავრდება.

როდესაც ამ ჩანაწერების წერა დავიწყე, 2015 წლის 31 დეკემბერს, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ რაღაც ეტაპს ვამთავრებდი. ბოლოსდაბოლოს, სრული ვერსია მთლიანობაში 1993 წლიდან 2016 წლამდე პერიოდს მოიცავს — რა თქმა უნდა, პაუზებით, თანაც დიდი პაუზებით, მაგრამ 23 წელი მაინც 23 წელია. „სროკია“ რა, მართლა. ყველაფერს აქვს დასასრული: სამყაროსაც კი და ეს ჩემი დასტვენული ნაწერები რა გახდა?

როცა ამ ჩანაწერების წერა დავიწყე, მეგონა, რომ დედაჩემი გადავარჩინე, თუმცა ზუსტად 41 დღის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა, თუ დაიწყო, ახლაც არ ვიცი... და ისე მოხდა, რომ დედაჩემი აქ, ამ ჩანაწერებში გარდაიცვალა...

ახლა არ ვიცი, ამის გამო უფრო მეტი სიხარულით გამოვეშვიდობები ამ ნაწერებს თუ კიდევ უფრო მეტი სევდით.

ციცის გარდაცვალებითაც ყველაფერი დამთავრდა თუ ყველაფერი დაიწყო...

თუ, როგორც ყოველთვის, ეს ერთი და იგივეა?

ნებისმიერ შემთხვევაში, დამთავრდა თუ დაიწყო, რაღაც მორჩა! Adios!



ქართული ენის სამოთხიდან წამოღებული
სიტყვებით ვაგებ ციხესიმაგრეს...

მტერო, შენ იმას ვერ დახედავ
შხამნასვამი თვალებით
და
შხამინანებ ხელს ვერ შეახებ!

პეიზაჟი

შავ ღამესთან გართმული ყორნის ყრანტალი...

ეს ყრანტალი გველის დარდასაც გაერთმება...
გველის წივილს, იმისი ექო
შენი ლექსის სიტყვებს აღვიძებს:
და ისინიც
გველისციხის არწივის ცრემლით
ნასამოთხარ პირებს იბანენ...

ძველიბერი

და განთიადზე რითმებს ნასკვავენ
ქარვის ქარები და მონათიბი
სიტყვები ჰგვანან მზუფტავ ვარსკვლავებს,
ღამეებში რომ გზას გინათებენ...
გინთებენ მთვარეს, წვირ-წვირ მნათობებს:
ამ უკუნეთის ალალ მონმეებს...
გულო, იგრძენი ცა, მონათიბი,
და ღამეული ნისლი მონველე...
მალე შემოვა დილა, სულ სველი,
დილა დილემის, დილა არაყის,
მოგიტანს სიმწრით გადამსუსხველებს
დარდებს და სიტყვებს, რითმით დანაყილს.

შესაქმის ლექსი

მოგენატრება სამყაროს შექმნა,
მაგრამ, ალბათ, უარს იტყვი, ერთი მიზეზით,
მიმბაძველობა რომ არ დაგნამონ!

თუმცა სულ მცირე პლაგიატი ესეც ხომ არის,
როცა ძველისძველ უდაბნოში შენს კვალს ხატავ და
უდაბნოს ცაში ხატავ ვარსკვლავებს...
და სურათიც ხომ უსასრულოა:
ვარსკვლავების გაბნეული მრავალწერტილი...

და მზე და კიდე
დედამინა: ქანცგანყვეტილი...
და კიდე ერთი ცთომილი ვინმე:
ოხერმოხეტე დედამინის ტყუპისცალივით
რომ ტრიალებს უდაბნოს თავზე,
რომ დაჰყურებს მას თავისი მზე და მთვარე და
რომ გვაკვირვებს ის თავისი ერთადერთობით
და არც ის ავიწყდება,
კუნაპეტ ცაში
პლაგიატორის მრუდე ფუნჯმა
რომ დახატა და
წყვიდადში რომ მიატოვა შხამდალეული!

აკითხველს კვლევიზი

უნდა გითხრა: შენზე დარდი ლექსის ღამეში
ნისლად მეხვევა: ამას როგორ შევუშინდები
მაშინ, როცა მე სიტყვების სიკამკამეში
შენთვის გავაბი უსახელო ზღვებზე ხიდები...


მე ვიცი, რომ გძულს ჩემგან მოკლულ გველის ტანივით
ხმა უნდობარი: ქურდობანი: ხმა მინრეტილი...
და ისიც ვიცი, შენთვის გულით ასატანია
სტრიქონის ბოლოს ვარსკვლავების მრავალწერტილი...

არწივის ცრემლი

ცის თაღზე წმინდა ხელნაწერი:
მთვარის ტექსტი,
ღვთაებრივი, შუალამური...
და იქვე საღვთო ვარსკვლავების მრავალწერტილი...

და გველისციხის აღმართებზე სიტყვის შავლოდი,
შენ რომ ათრიე
ისეთი, რომ
სიზიფსაც უსათუოდ შემურდებოდა!..

ის საღვთო ტექსტიც,
შენ რომ ციდან გადმოიწერე
თავის მრავალწერტილებით
და არწივის ცხელი ცრემლებით:
კუნაპეტში შენს ხელნაწერს რომ ეშხეფება...
შენს სტრიქონებს გულს რომ უდგამს
და შავლამეში
არწივის ნაფრთვე ობოლსიტყვებს რომ გასიზმრებს,
ციხიქითურებს...



ჯარჯი ფხოველი

და არწივის ცრემლის შხეფები,
ცას რომ აჩნია
და ვარსკვლავთა მრავალწერტილებს
და ქართული ლექსის ტაეპებს
რომ რწყავს ცრემლის ცხელი შხეფებით,
ციური სისხლით ანოყიერებს...

და არწივის ნაფრთვეის კვალზე
ცრემლის შხეფიც ამჩნევია:
ცას რომ გიხსნის და მიყვებარ ღამის მხარეში,
სადაც არწივის ცრემლში ურევს ვინმე მავანი
შენი გულის სისხლში მზარე სტრიქონებს...

**შენ
ძველიბერი**

აქ ჩემი დარდი უნდა ანივლო,
ავი სიზმრების ცრემლად დაცალო,
შენ, გველისციხის შავო არწივო,
ყორნის ღამეში გამონაცვალო...
მზარე სტრიქონის შხეფად ნანვიმო,
სისხლად ნამცვრევეო, ცრემლად ნაცვარო,
შენ, გველისციხის შავო არწივო,
გულის კვნესაში გამონაცვალო!

ანარეკლი

შენი გული აირეკლეს
ფურცელთან და სიტყვებთან ერთად
სტრიქონებმა,
დანყველილებმა...

და ანარეკლი ცას გადასცეს და
მზეს და მთვარეს გადასცეს და
ვარსკვლავ-ეკლებს გადასცეს და
მგზავრის თვალში გამომწყვდეულ
მწუხარების ღრუბლებს გადასცეს...

ჩემი სქოლიო

რასაც შეგპირდი, ნულარ მოელი,
ნუ გამიხსენებ ჯავრით სნებიანს...
მე ვარ შ. ჩანტლაძის „სქოლიოელი“,
ვისაც წარსული დავიწყებია,
ის საღვთო წამი, ისევე რომ მშობი:
ცა მსურდა, მაგრამ ცა დამიხურეს...
ეხლა სხვა დროის სქოლიოში ვარ:
სხვა სიზმრებს ვსინჯავ, გველისციხურებს...

ეს ვარსკვლავიც,
ყორანივით რომ ყრანტალებს შავ ღამეებში:
სიტყვებს გიგზავნის ცისგადაღმურებს...

ის სიტყვებია, შენ რომ უკვე დაივიწყე,
ის სიტყვებია, კვლავ რომ გწყურია...
ის სიტყვებია, შენ რომ გჭირდება...
შენს წინაპარსაც ეს სიტყვები უღალადია
ბევრჯერ ჩარგლის გრძელ ღამეებში!..

შენ ამ ვარსკვლავის მადლიერი ხარ,
გველისციხის შავი არწივის
ყრანტალის სიტყვებს რომ გიგზავნის,
ცისგადაღმურებს...

ესეც ჩემი შავი არწივი:
ღამეში ღამეს რომ აგუბებს და
ღამეს ღამე ემატება, ნახშირს ნახშირი...
და ორივეს ემატება
ჩემი შავი სიტყვები და
ცრემლს კვლავ ცრემლი ემატება,
ღამეს ღამე ემატება, ნახშირს ნახშირი...

შავი სიტყვა, შუალამური...
გულიც რომ უძლებს,
გველისციხის კედელიც უძლებს:
ისტორიის დაბზარული შავი კედელი...

ეს არწივიც ღამეს აგუბებს:
ნახშირს ნახშირი ემატება,
სიტყვას სიტყვა ემატება,
სტრიქონს სტრიქონი ემატება
და იზრდება ისტორია...
და იზრდება გაბზარული ციხის კედელი...

ჩემი არწივის ქება

გველისციხის შავო არწივო,
ყორანო,
ჩემი ღამეების თანამდევნელო,
ამ წკვარამში, ამ უკუნეთში
შენი ორკეცი სიყვარული ამეტოტება!

სიზმრების ცაზე დაკარგული
სტრიქონების ძებნაში ხომ გზას მინათებდა,
წინ მიგყევარ ხელისკიდებით:
შენი ხმა არის ის „ნევერმორე“,
რითაც ედგარს მიუძღოდი და,
რითაც ვაჟას ცას უნათებდი,
გველისციხის უკვდავ სიზმრებს
როცა ხატავდა...

მოდის, ძველდღი სიზმრების ცაზე
დაკარგული ის სტრიქონი მაპოვინე,
საარავგოს ავქარიშხალმა
ცის ტატნობზე რომ გაინაპირა

შავო არწივო, თავსიტყვა იყო,
რო დავკარგე ისტორიის გრძელ უდაბნოში,
შენი ყრანტალის იმ წერტილში აირია,
ისტორიის მზარე კვნესას რო აბოლოებს.

გეტყვი: წერტილი არ ითარგმნება:
ყრანტალში ითქმის და ის ფარავს
დიდჭრილობას, მოუხელთებელს...

გეუბნები: ის წერტილია,
დიდმა ედგარმა რომ დაკარგა,
დიდვაჟამაც რომ დაკარგა და ვერ მიაგნო...

შენი ხმა მესმის გველისციხიდან:
გულს უთარგმნელი სიტყვით ვიმშვიდებ!

და მკითხველს ვეტყვი:
ეს უკვდავი ყრანტალი ვთარგმნოთ,
ეს დიდწერტილი ვთარგმნოთ, ისე, როგორც ორკეცი
სიყვარული: ჩვენს ბედკრულ მინას
გველისციხის კედლებიდან რომ ეფინება!..

შავო არნივო, ეს ოქროსიტყვა დაჭრილ პოეტს ეფინება: შენი ყრანტალი, შავად ნახევი, შედებილი შენი ფრთებივით...

ეხლა ჩემს მწარე კენესას რომ ისმენ, შენი ქება, ჩემგან ნათქვამი, გველისციხის უკუნეთში დაგემგზავრება... ეხლა შენს ყრანტალს, საალსარებოს, პოეტის გული სტრიქონებად გადადნობს და გველისციხის დაბზარულ კედლებს ნაანერს მუხის წმინდა ნახშირით...

ედგარმა გაქო... დიდვაჟაის სიტყვების შემდეგ ეს ქება აღარ გაგიკვირდება... ეს არის ჩემი შავი სტრიქონი, საარაგვოს ქარით ნატოტინი, ოდესღაც შენი ბუმბულით რო შუბლს იგრილებდა!..

უფრო ის გიკვირს, არნივი რომ დაგარქვი და გველისციხეზე საბუდარი რომ დაგიხატე იმ კედელზე, სხვა არნივებს რომ ეკუთვნოდა...

და ეს დღეც დადგა, ამ სისხლნასვამ ნანგრევებზე, ქართულ სიტყვის ნააკვნარებზე ეფინება შავ ლამესთან გართმული შენი ყრანტალი, ქართული ლექსის მზეს რომ აღვიძებს, როგორც ოდესღაც ამერიკის პრერიებში ედგარის მზე გამოაღვიძა...

P.S.
გველისციხიდან ისმის ყრანტალი: გულს გადამიხსნის სიტყვა უღვევი. შენს „ნევერმორეს“, ცაში ატანილს, მომხვევ ორკეცი სიყვარულივით!..

თავშესაფარი

ეს ნარწერა უსათუოდ დაამშვენებს რომელიმე ყრუ შენობას საქართველოში: „ხანდაზმული პოეტების თავშესაფარი“...

აი, ესეც: გველისციხის ჭალაში რომ დგას ჩემი სახლი: კიდევ ერთი თავშესაფარი...

თავშესაფარი, სადაც ყოველ ლექსს აბოლოებს ყორნის ყრანტალი ძახილის ნიშანივით!..

დავიმახსოვროთ ეს ნარწერა, ღვთითდანყველილი: ხანდაზმული, ხელმოცარული და მშვიერი პოეტების თავშესაფარი... განუკურნელი ჭრილობების ადგილის დედა!

მარტომჯან ტაქსტი

მზემ გველის სისხლი გადამიხსა და მომდევს და მოყეფს და გულს მისიებს...

მზის ნაკბენი ჩანს და გველის სისხლი ჩემს უდაბურ, ჩემს დაკეჭნილ თავისქალაზე, სადაც წარსულის კვამლი ტრიალებს და კანკალებენ ვარსკვლავ — კენჭები: ავსიტყვები ჩემს უდაბნოში...

მე აქ ვინამე და ავიცერი მზის სიმარტოვე: ღვთაებრივი ერთადერთობა...

მზეს თავისთავი არ ენანება: ცრემლებს მაშხეფებს, ცისიქითურებს და რწყავს გულის უდაბნოებს და რწყავს სიზმრებით ის ჩემს სტრიქონებს და ჩემს ჭრილობებს...

მზის სიმარტოვე... თუმცა სულმთლად მარტო არაა: ისიც კაცის სიმარტოვეს ემეზობლება, ისიც სამყაროს სიმარტოვეს ემეზობლება, ისიც წმინდა სიმარტოვეს ემეზობლება...

მე აქ ვინამე და მარტოგულზე ავიცერი მზის სიმარტოვე: ღვთაებრივი ერთადერთობა... ის თან მომდევს და ცრემლებს აშხეფებს, გველის სისხლში გადარეულებს, ჩემს სტრიქონებს: გულის ჭრილობებს.

*** * ***
ამოდის დილა. ნულარ აყოვნებ... ფურცელზე: ცეცხლი... და გულში: დენი... მზემ გადაუხსნა ზეცა არყოვნებს. ეს არის სულ სხვა, მზე: გუშინდელი...

სულ სხვა ვინმეა: გადამკითხველი, გადამწერელი, გადამპოხელი... იმედის დედა, ვისაც ცით ველით, ვისაც გვპირდება დილა ოხერი...

იმედის დილა: თითქოს სუსხივით სიტყვები ნედლი და გულმშვიდები... სახსოვრად მოგვცა დილის მზემ სხივი, ცა: დღევანდელი და გუშინდელი...

ავტოპორტრეტი

სიტყვის თვალწარბი, სიტყვის კენესა, სიტყვის ერთი ამოხაველება...

პოეტები: სიტყვით ნაგებ ციხეებივით...

ციხის კედლები გადამტკავლეს დროის ქარებმა, მზის ხეობებში გამომწვარი ნესტოები გაუნიავეს... გაუგრილეს დაკოჟირილი გვერდები და ხელისგულები...

პოეტები: სიტყვით ნაგებ ციხეებივით...

და შენს ციხეს სიტყვებს უმატებ, ხმებს უმატებ, ცისიქითურებს, და არაგვის ხმას უმატებ და საფუტკრის ზუზუნს უმატებ... და ანაოხრალ საქართველოს კენესას უმატებ!..

პოეტები: სიტყვით ნაგებ ციხეებივით...

და, საბოლოოდ, შენს თავს უმატებ და შენს სიზმრებს უმატებ და ნერტილს უმატებ: ვარსკვლავ-ნერტილს და ორნერტილს და მრავალნერტილს...

და სულბოლოს შენ უმატებ შუალამის ციდან მონასხლეტს, ანგელოზის ცრემლში გამლღვალ წმინდა სიტყვას საალსარებოს!

ქარაბის ტაქსტი

თქვენი ხმა მავსებს და გულში ჩამდის და კიდევ გკოცნით ფრთებზე, ქარებო, უნდა დამითმოთ პოეტის დარდი: პოეტის სიტყვა საალსარებო...

ვერ მოგცილდებით, ძმებო, გვერდიდან: თქვენ დამიბრუნებთ ილბალს, გაფრენილს... თქვენი ბავშვობა, თქვენი გველდედა, თქვენი ჩურჩული, გულის მზაფრველი, თქვენი კენესა და თქვენი ღმერთები... ვამბობ: სხვას აღარ გავიკარებო... მე თქვენს სიზმრებში დავეხეტები და გრილ გულებზე გკოცნით, ქარებო!

პრიმიტივის ტაქსტი

სხვა რამეც იგრძენ, ლომო, აქ უნინ, ეხლაც რო ელი, სანამ დაშრები... დღეს გუშინდელი ჯავრი აკუნე, ცა დაგეხმარა ელვის დაშნებით...

ცამ გიერთგულა კუბოს კარამდე: ევნო, ათრია დარდი კუბოსი... და გულში დაგრჩა დარდი მარადი და ტიალ გზაზე — ვინმე ძუბოზი...

სტრიქონს გაატან აკუნვილ გულჯავრს, სიტყვა: დარდი და სიტყვა: დემონი... სიტყვას ამშვიდებ და ლექსით ბლუჯავ: შენი სიტყვები: სათავცემონი!

ტაქსტი ალიტერაციებით და სამწერტილებით...

ფურცელს დაესო სიტყვა სალოსი... ცის ნაფთევები... ვარსკვლავ-ცრემლები... სახესხივები სხვა სამყაროსი... თითქოს წარსულის სისხლში ევლები...

გულს ჩარჩენილი მზეზე ამოვსვი სხვა სინანული, დროის ზიარი... სისხლში ნასვენნი სული სალოსი... ეს დუმილიც ხო მისი ზნე არი...

შენ სხვა სიჩუმე უნდა გეხერხა, ის დარდი, ისევ შენ რო გეკუთვნის... მეხრე იყავი, ისევ მეხრე ხარ... გულში გესობა გმინვა მეგუთნის...

მიგყვება ჯავრი, სისხლში ნავლები, ცას შუალამის ფარდებს მოუშლი... მზე გზაოხერზე დაგემგზავრება... შეხვალ შიმშილის შეშლილ შოუში...

ლანდო, მეგუთნეს ნუ შეედრები... ლოკე, იგრძენი დარდის მარილი... ხომ შეიყვარე დაუყვედრები ეს ლომასიტყვა ლომახარვიით!

ნამი

ამ სიტყვას ეხლა სიმარტოვე მოენატრება: და უდაბნოს გრძნულ ხეზე ადგილს მოძებნის...

აქ არის სიზმრის მღვიმეები, სადაც გული იკარგება მაშინ, როცა ავუკუნეთში ფეხისდასადგამ მინას იგრძნობ და მარტოობას ასჩქამდები, მარტოობას ხელს გაუნვდი, მარტოობას დატოტინი და მარტოობას თვალებს გაუხსნი...

პლაგიატორის ტაქსტი

და ეხლა ამ ლექსს: ამ ოხერ სიტყვას ყელზე ეხვევა ჩემი დარდი გველდედასავით...

დიდწინაპარო, მე ვარ შენი წმინდა სიტყვის პლაგიატორი... შენს ნატერფალში მიდგას ფეხი და თვალებს მიბურავს და გზას მიბნელებს ის ჯავრი: შენი ამონასუნთქი...

ამ ნისლიდან დამყურებს და ცრემლებს მანვეტებს ის მანგი, შენ რო გზას გინათებდა, შენს ცას რო რწყავდა ცეცხლის შხეფებით...

და აღარ ვიცი, როგორი დღე გამოითენდება: ხვალინდელი, როცა შენი ნატერფალი დამაინყდება, როცა დავტოვებ უდაბნოში ამ ოხერ სიტყვას, ეხლა რო ზრდის ჩემი დარდი გველდედასავით...

სასწორი

მოდი, ვიშოვნოთ ყოვლისშემძლე სასწორი: ისეთი, რითაც დედამინა აინონება... მზე და მთვარე და ვარსკვლავები...

მოდი, ავნონოთ სიყვარული... ის სიყვარული, სუყველას რო გულებს უხეთქავს მაშინ, როცა სხვაგან ვერსად ველარ მალავენ... სიყვარულის შესანახი წმინდა ალაგი, სხვაგან ვერსად რომ ველარ მოძებნეს...

მოდი, ავნონოთ სიყვარული, გულში ავნონოთ, გულში დავმალოთ ეს სიმდიდრე პლანეტარული, დავიჩემოთ, საბოლოოდ დავითავისოთ!

სულგოლო ტაქსტი

მოდი, ავძახოთ გადავლილ წეროს ყოფნა-არყოფნის ნაქნარ-ნახევი... და გვემულ გულზე გადავიწეროთ სიკვდილი: გველის ნაკარნახევი...

ყორანი ლექსში: მელნის შხეფივით, ღრუბლისპირეთი ყრანტალით სავსე... და ამღვრეული ცაში ზეფირი: ამ უკუნეთში რას დავემსგავსეთ.

გველის გვემული გულის გნიასი. ავსებს ავლამეს, ავსიტყვას, ავსენს... აღანთო დარდმა ლექსი თასივით, სტრიქონს დუმილის ბოქლომი ავსენს.

გამოვადვიძოთ წარსული: ვწეროთ ეს ერთი სიტყვა: დარდის ნახევი... თან გავაყოლოთ გადავლილ წეროს გულჯავრი: გველის ნაკარნახევი...

ჩემთან რომ მოვიდა, უკვე ყველაფერი ვიცოდი. მე კი არა, მთელმა ქალაქმა იცოდა და ეგ ანუხებდა. არიან ქალები, როცა რამე ანუხებენ — მხრებს ჩამოყრან, ჩამოჭკნებიან, უფერულდებიან... ეს მეტიმეტად ლამაზად იყო ჩაცმული, მხოლოდ ოდნავ გათხაპნოდა ნითელი პომადის კონტური ზედა ბაგის შუაზე, ზუსტად იქ, სადაც აღმართი მთავრდება და ღრმავდება. გამჯდარი მიმიკის უკან რასაც მალავდა, შუბლზე დაჭიმული ძარღვი ამხელდა. არ შევენოდა შემოვლილი ღიმილი...

მე კი არ მელაპარაკებოდა, არამედ — წარსულში ჩარჩენილ მასზე შეყვარებულ ადამიანს. ზედმეტად წინ იყურებოდა მაშინ... მე კი მხოლოდ იმ წამისა ვიცოდი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მისი გათვლილი გზები გამწარდა და ჩემი ნაგუბრი ყოველდღიურობა გატკბილდა. ახლა რაღაცას ხლართავდა, ხლადფორტობდა, ძველ ძაფებს ერთმანეთს ანებებდა და ახალსა ქსოვდა. იარაღად თუ გამოვადგებოდი. იარაღად იმ კაცის „გასანადგურებლად“, მისი ქმარი რომ ერქვა.

წლები იყო, არ მენახა... ბევრი წელი. ცნობილი კაცის ცოლი იყო. ხშირად მესმოდა მათი ამბები. ვხედავდი ტელევიზორში, თეატრში, კონცერტებზე... ყველგან, სადაც მე არ დავდიოდი, მაგრამ წარმოვიდგენდი მასთან შეხვედრის ვარიაციებს. მეფიქრებოდა... ხომ იცით, როგორ ხდება — ფაქტი დგება, მაგრამ სულ სხვა ანტიურაჟში, არა ისე, როგორც გეფიქრებოდა. ვიცოდი, ისიც ფიქრობდა ჩემზე. მისი ფიქრი სხვანაირი იყო, მეორადი. მდარე. ისეთი, მთავარ ფიქრს რომ მოაყოლებ ხურდაში. ჩხრილა ხურდა მოსახერხებელი საშუალებაა პატარ-პატარა სიკეთების შესაძენად — მე მისი საქციელისთვის სიმსუბუქე უნდა მიმენიჭებინა... ჰო, სიმსუბუქე და არა ჰაეროვნება. მაკას მძიმე ფიქრები უნდა ამეჩაბებინა...

ჩემთან შეხვედრისას მარტივი სცენა გაითამაშა — ბანკის წინ ათი წუთი იდგა, მერე საათმა ექვსჯერ ჩამოჰკრა და შენობაში შემოვიდა. ჩემი სამუშაო ადგილისაკენ წამოვიდა.

— ქალბატონო, ვიკეტებით! — გასძახა კარისკაცმა. ვითომ არ გაუგია, სვლა განაგრძო.

კარისკაცი დაედევნა, ნაბიჯს უმატა... ჩემი დრო დადგა.

— მაკა! — დავუძახე და გავარღვიე ათწლეულების დუმლი...

არიან ქალები, რომლებიც ყოველთვის, ყველა ასაკში შეუდარებლად გამოიყურებიან, მაგრამ ახლა სულ სხვა რამის თქმა მინდა: მაკა ის ქალი იყო, სილამაზეს რომ იმსახურებდა — მანერულობა, მიხვრამოხვრა, ფესტები, იდუმალი მზერა, ტუჩის მარცხენა კიდეში შეუმჩნეველი ღიმილი... არ ვაიდეალებ, პირიქით, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მისი ჯადო გარეგნობა იყო — სხვა არაფერი.

— ბავშვები კარგად არიან. იზრდებიან. ერთი ევროპაში სწავლობს, მეორე წელს აბარებს, მესამე რუსია... სულ ბიჭები, — მითხრა და ბანკთან ახლოს მდებარე კაფეში სიგარეტს გაუქოდა, — კარგი სახლები მაქვს, ორი აქ, ორიც ევროპაში, მალიორკაზე, ანტიკებში. ქმარი, ქმარი... ქმარზე არაფერი მკითხო.

— სირთულეები ყველაგანაა, ყველა ოჯახში, — ვუპასუხე გულგრილად. არც ქმარზე მიკითხავს და არც ბავშვებზე. სჯობდა, საერთოდ არ ეხსენებინა. როცა ქალი რამე გადამწყვეტს, ზუსტად იცის, რაზე უნდა ილაპარაკოს. მაკას არეული საუბარი მის მდგომარეობას ესადაგებოდა.

— ის დრო მენატრება, რომ ვცეკვავდი. ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი. მაგ დროს იყავი შენც... — თქვა და ტუჩის კუთხე ოდნავ ზევით ასწია. მაშინაც ასე იყო, ოდნავი გაღიმიებისთანავე ეკეცებოდა ტუჩები... მომწონდა მისი სხეული ფლამენგოს კოსტიუმში. სოლოებს აძლევდნენ. დიდი არაფერი ანსამბლი იყო, მაგრამ ჩვენს ქალაქში და იმის გარეთაც კარგად ცნობილი. ამბობდნენ, მაკას დედა ნამცხვრებით დარბოდა ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებთან შელისთვის სოლო რომ მიეცათო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს ახლა, დრო იყო ასეთი და ბევრი აკეთებდა ამას... სულ სამჯერ შემხვდა, ორი წელი ვსდიე... გაპარვავზე ვერ დავი-

თანხმე, მოტაცება ვერ ვაკადრე, ისე კიდევ მე არავინ გამომატანდა... ხელმოკლედ ვცხოვრობდი.

— ჰო, თაიგულებს გიგზავნიდი, — მოგონებამ სასიამოვნო ჟრუნავსტელივით დამიარა. მიმტანს ვანიშნე, კიდევ დაგვისხი-მეთქი. იყო უხერხული სიჩუმე და ჭიქების მიჭახუნების უსიცოცხლო ხმა. ის ჩუმად იჯდა და უნდოდა, ჩემთვის მოესმინა. მე ლაპარაკი არ მინდოდა.

— დაკარგულ წლებს ვინ დაგვიბრუნებს? — თქვა ბოლოს. ქმარი იგულისხმა. ის ქმარი, მაკასა და დედამისის მოსახიბლად ანსამბლის გასტროლები რომ დაასპონსორა. რისკიანი ყავდა. რისკიანი და ილბლიანი. მაშინ ბევრი ფული არ ჰქონია, მხოლოდ მიზანი ამოძრავებდა — ყველაზე ლამაზი გოგო მოეყვანა.

— რა დაკარგულ წლებს, მოიცარა! აწი იწყება ყველაფერი, — ვთქვი და ასეც ვფიქრობდი. გადაფასების პერიოდი დგებოდა ჩვენს ცხოვრებაში, მაკასანაირ ლამაზმანებს მათი აგებული კერპები უნდა დაეგრიათ და მე დავეფასებინე.

— მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, — თქვა მაკამ და თვალები აუნწლიანდა.

— შენ ყოველთვის იცოდი, რა გინდო-



და და ახლაც ასე უნდა განაგრძო, — შევავალიანე.

ჩემნაირი კაცი არ გამოადგებოდა. ჩემგან განსხვავებით ეს იმთავითვე იცოდა. მე კი დიდხანს ვიმედოვნებდი.

— შენთან მინდა, — თქვა ჩურჩულით — თვალეზდაუჭულმა.

უკვე გვიანი იყო და სიჩუმეც იმაზე დიდხანს გასტანა, მე რომ წარმომედგინა. ჩემთან ყოფნა არ შეეძლო, მხოლოდ ამბობდა, გაუაზრებლად, დაზეპირებით, როგორც ამბობს ლექსს პატარა ბავშვი... ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი. ჯერ კიდევ ვერ თმობდა რაღაცას. არაღაცას და ვილატას.

ტაქსიში რომ ჩავსვი, ღამის პირველი საათი იყო, თითქმის ეძინა...

იმ დღეს ჩემთან არ ამიყვანია. არადა, შემეძლო. ასეც მოვიქცეოდი, ძველი დრო რომ ყოფილიყო. მაშინ მაკაზე ცოტა მაინც ვიყავი გაბრაზებული, ახლა სრულებით აღარ. მაშინ მჯეროდა, რომ თუ მაკა ჩემს გვერდით იქნებოდა, ყველაფერს შევძლებდი, ახლა უკვე ვიცოდი, რომ ეს ახალგაზრდა კაცის ფიქრია მხოლოდ და ასაკს თუ მოაქვს.

მეორე დღით გაღვიძებულმა მიჩინია, რომ მე ყველაზე სულგრძელი მამაკაცი ვარ და წერილი მომწერა. წერილს თითქოს მე კი არა, ცნობილ მწერალს წერდა — გრძელი და ასჯერ გადაკეთებული წინადადეგები, გულმოდგინედ დასმული სასვენი ნიშნები, აზრი კი უაზრო, გაუგებარი. სიტყვების რახა-რუხი. მაღლობას მიხდიდა და ისევ შეხვედრას მთხოვდა... ჩვენი შეხვედრა არაფერს შეცვლიდა. მოუცლელობა მოვიმიზნე.

იმ დღეებში მაკა აღარ გამხსენებია და არა იმიტომ, რომ სხვისი ცოლი იყო... ჩემი ძველი ფიქრების გაცხადება კარგს არაფერს მიქადდა. მაკა ცხოვრებას მხოლოდ მხარ-თემოზე წამოწოლილი იცნობდა, მზამზარეულს კი ჩვეული მზერით ირგებდა. მუდმივად იცავდა საღამოს დიეტას (6 საათის მერე არჭამისა) და კუნთების არმოსაღუნებლად კვირაში სამჯერ

ვარჯიშობდა... სხვა ცხოვრების და გაქანების ქალი იყო.

ერთი თვის შემდეგ კვლავ სამსახურში მომადგა, შესვენება უნევდა და მხოლოდ საათი გვექონდა შეხვედრისათვის. ისევ იმ კაფეში შევედით. კაფე არ მოსწონდა, ამას თავიდანვე მივხვდი, თუმცა იცოდა, რახან თვითონ მოვიდა, დასაწუნიც არაფერი უნდა ჰქონოდა.

— ძალიან ცუდად ვარ, შენ უნდა გელაპარაკო, — მითხრა და საშაქრეს ჩახეუტა. სამსახურში გადავრეკე, შესვენების შემდეგ ვინმემ შემცვალეთ-მეთქი.

ჩემთანავედით. ლუდი მქონდა. დღეს დალევას არ ვაპირებ, თუ რამეს მაჭმევ, კარგიაო.

— უბრალო სოსისი არ გეგონოს, შინხოფერია, — ვუთხარი და გაცივება ვცადე. მაცივარში სოსისის პოვნა სასიამოვნო აღმოჩენა იყო.

— შენთან დაწოლა მჭირდება, — თქვა მაკამ, ყოველგვარი მომენტის შერჩევისა და მიღებ-მოდების გარეშე, — როგორც გინდა, ისე გაიგე, შენთან სექსი მინდა, შენც ხომ გინდა... მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, მაშინ მეც მინდოდა, მაგრამ სხვა დრო იყო... მეყო, რაც აქამდე სულელივით



ვიცხოვრე. რისთვის, რატომ... — არ ღელავდა, თვალეზდაც აღარ ხუჭავდა... მის ხმაში იყო ტკივილი. ახალგაზრდული ტკივილი. შეუფერებელი. უადგილო. არ უხდებოთ კარგა ხნის ცოლებს ქმრებზე ნუნუნნი, ტრაგედიების დადგმა. ვინ ვინ და მათ ყველაზე კარგად იციან არარსებული „იდეალური ოჯახის“ შესახებ. ოჯახი საერთო, ჯგუფური მიზანია გადარჩენის, გამორჩევის, სიძლიერის... ამ ერთობაში დიდხანს დარჩენა განცდებს ან გიმძაფრებს, ან გაკარგვინებს...

— ნუ სულელობ! — ვუთხარი ჩუმად. არ მინდოდა, თავმოყვარეობა შემელახა, ქალები ხომ სწორედ ამაზე გიჟდებიან... სულელი კი ნამდვილად იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზ ქალს სხვანაირად არ შეუძლია... ლამაზი ქალი მთელ ფსონს გარეგნობაზე ჩამოიდის და მაკასაც მხოლოდ თავისი სხეულის იმედი ჰქონდა... იმას ვერ ხვდებოდა, რომ სხეულზე მეტს ვითხოვდი. ქალს ვეძებდი. ქალს, რომელთან საუბარსაც შევძლებდი — სექსი საუბრის გარეშე წარმოუდგენელია.

— რატომ, ცოლი გყავს, თუ რა! — სტანდარტული ქალური ეჭვები ღრღნიდა, მთავარს ვერ ხვდებოდა, ვილატის ყოლა კი არა, ვილატის არყოლა იყო პრობლემა.

— ქმარზე ხარ გაბრაზებული. კაცი კაცია, მეც შენი ქმარივით ვარ, მიყვარს გავლა-გამოვლა. არ არსებობს სხვანაირი კაცი, ყველა ეგეთია, — თავი დავიცავი და ეს სულაც არ იყო რთული, ყველაზე გულწრფელი ადამიანივით გამომივიდა. იმას ვუმხელდი, რაც შესაძლებელია, თვითონაც იცოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. სხვა გზა არ დავუტოვე, უკან უნდა დავხია. არადა, სულ სხვა რამეს ვფიქრობდი. მინდოდა, მეთქვა, არსებობენ გამორჩეული ქალები, რომლებიც ყველა ქალს იტყვენ და შენ რომ ასეთი იყო, მაგ ლამაზ კაბას დაუფიქრებლად გაგხდიდი-მეთქი. დავეზოგე, არ ვუთხარი. იმიტომაც დავზოგე, რომ მისი ქმარი არასდროს მომწონდა და

არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქმარი იყო...

— გავლა-გამოვლა. ეგ ყოველთვის უყვარდა. ვპატიობდი. ასე გამოდის, რომ ვპატიობდი! მეც მინდა გავლა, შენთან მინდა! — ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქმის ყვირილით. ვიცოდი, ამის მერე რაც მოხდებოდა, ვგრძნობდი მის მოსალოდნელ ისტერიკას ორივე შემთხვევაში, თუ ჩემთან არაფერი გამოუვიდოდა, ან თუ გამოუვიდოდა.

გემრიელად მოხარშულ სოსისებს დავცქეროდი... მაგრამ მშობოდა. მაკამ გახდა დაინწყო.

— ისე იცითი სხეული მაქვს, ისევ კარგი ვარ... ვიცი, რომ გინდა, შენი ქალი ვარ...

ჩემი ქალი არასდროს ყოფილა და ვერც იქნებოდა. ამიტომაც იკლავდა თავს ქმარზე. ეს მაშინ მოხდა, როცა ანგარებით სიყვარული ნამდვილ სიყვარულად გაასალა... ვიცი, მეტისმეტს ვითხოვდი, ამდენი ფიქრი რომ შეძლებოდა, ყველაფრისთვის სახელის დარქმევასაც მოახერხებდა.

— შენყვიცი... ახლავე ჩაიცი! — იოტი-სოდენა სურვილიც აღარ მქონდა, ჩემთან დარჩენილიყო. ისტერიკაში ჩავარდნილი ქალის ლოგინში ჩანვინა ჩემი ილეთი არ გახლდათ. მინდოდა, ნასულყოიყო. არ მიყვარს ქალი მსხვერპლის როლში, ქალი მსხვერპლი არ გახდება, თუ სავაჭროდ არ გაიხდის ჩაგრულობას... ისე ცხოვრობდა, როგორც უნდოდა, იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, იმდენს ხარჯავდა, რამდენსაც მოისურვებდა. ახლა კი ქმრის ღალატისგან სასონარკვეთილი ჩემს წინ იდგა და მზად იყო, გაეხადა... დედამისმა ჩაუბეჭდა გონებაში, ყველაზე ლამაზი ხარო, დედოფალიო. ჰოდა, თუ მეფეს გავყვა, ისიც უნდა სცოდნოდა, რომ მეფეებს „ჰარამხანა“ უყვართ.

— უნდა ნახვიდე! — ვუთხარი ცივად და მკაცრად ნახვერადმიველსა და გაფითრებულს. მისი თეთრი სხეული ჩემს სახლს უფრო მეტად აღარიბებდა და აძველებდა. სკამზე გადაკიდული ქაშმირის ჟაკეტი სწრაფად აიხსნა და შიშველ მკერდზე აიფარა. ყველამ მონოლილი ბურთი გადაყლაპა. უკვე ვეზიზღებოდი...

— ისეთივე არარაობა ხარ, როგორც მაშინ. უტრაკო კაცი! შეუმდგარი მწერალი. ვის რა ჯანდაბად უნდა შენი წიგნები?! ბანკის კლერკი ხარ, შიმშილისგან სული რომ არ ამოგძვრეს... აქ, შენს სოროში ამოვედი მე! ასეთი ქალი, ასეთი! შენს ბინძურ სოროში, თავი დავიმცირე... ჩემი ქმრის გეშინია? ჰო, ჩემი ქმრის! როგორ იყო, ჩემი თავი რომ აგახანა?! ვის რად უნდოდა შენი ძლიერი თაიგული! შენნაირი ჯიბე-გაფხეკილი, წარუმატებელი ვის რად უნდა?! ვითომ მწერალი, ვითომ მწერალი! მაგრამ არაუშავს... გამივლის. ეს დიდი შეცდომა იყო, დიდი! შენს თავს იმ სამსახურიდან გავაგდებინებ. ჩემს ქმარს ვეტყვი და გავაგდებინებ...

ურეაქციოზა აგიყვებდა, უძრავად ვიდექი და ხმას არ ვიღებდი. სინამდვილეში სულ სხვა რამეს წარმოვიდგენდი... მინდოდა, იმ მწარე სიტყვებისთვის გამერტყა... მერე მოვფერებოდი... ნაზად მოვფერებოდი და მხოლოდ იმიტომ გამერტყა, რომ სინაზე ეგრძნო... ჩურჩულიდან ხმამალაზე გადავიდა, მერე კივილზე. ხელი დავავლე და სადარბაზოში გავიყვანე. ჩანთა ხელიდან გაუვარდა, ნივთებმა კიბეზე იწყეს ხტუნაობა. მიზროდნენ ტუშები, პომადები, საფულეები ჩაჭედდნენ ფულეები, ბარათები... გიჟივით მისდევდა და აგროვებდა.

კარი ჩუმად გამოვიხურე. სოსისი ჯერ კიდევ ცხელი იყო... ყრუ ტირილი მესმოდა. ლიფტის კედელთან ატუზულიყო. გასვლა არ შემეძლო — ჩემთან იმიტომ კი არ მოვიდა, რომ ოდესღაც ვუყვარდი — არა! თვითონაც ვერ ხვდებოდა, ქმარს კი არა, თავის თავს სჯიდა. არ შემეძლო...

მანქანა დაქოქა. ათიოდე წუთი სადარბაზოსთან იდგა. მერე უაზრო სიარულს მოჰყვა კორპუსის ირგვლივ. რუსთავისკენ დაიძრა. გრძელად შორ გზაზე უნდა ეტირა. ნელა მიდიოდა... კარგად არც იცოდა, სად იყო, შუქნიშნზე გაჩერდა, მერე მეორეზე... საკუთარი თავი ეზიზღებოდა, ცრემლები ახრჩობდა... ქმარს მასზე თხოთმეტი წლით ახალგაზრდა საყვარელი ჰყავდა, უფრო მეტიც, იმ საყვარლისგან ოთხი წლის ბიჭიც. ყველამ

იცოდა, მან კი ბოლოს გაიგო. არ უთხრეს დაქალბნობა, მეზობლებმა, უცნობებმა, ნაცნობებმა, მტრებმა, მოყვარებებმა. შორიდან დასცინოდნენ და თანაუგრძობდნენ. პირში წყალი დაიგუბეს... რა უნდა ექნა ახლა — ახლა კი არა, ადრე უნდა ექნა, ახლა ძალიან არ ჰქონდა. ქმარმა უკვე იცოდა, რომ სახლიდან აღარ წავიდოდა, იმიტომ, რომ არ წავიდა ხუთი, ათი, თხუთმეტი წლის წინ, მაშინ, როცა მიხვდა, რომ „ერთადერთი დედოფალი“ არ იყო, მაშინ, როცა მიხვდა, რომ არასწორი წარმოდგენა ჰქონდა ცოლ-ქმრობაზე... დაუნერვლი ნების გადაკეთება მოინდომა — თავის თავის გადაკეთებას არჩია. სიმართლე კი ისაა, რომ ვერც საკუთარ თავს გადააკეთებ და ვერც ცხოვრებას. როცა ოჯახს ქმნი, ხვდები, რომ აუცილებლად გაჩნდება ბზარი. გაბზარულს გატყევილი ჯობსო კი იცოდა, მაგრამ არ შეეძლო. რატომ უნდა დაეთმო ქმარი, რატომ უნდა დანერგოდა ოჯახი?! „ბავშვი რა შუაშია, დამნაშავე მე ვარ, არ მინდოდა, ასე გამოვიდა“ — როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, როგორც ხსნის ხოლმე კაცი, ქმარმა თავი იმართლა. ბავშვი ყველაფერს ცვლიდა, ბავშვი ყველაფერს ხსნიდა — ბავშვის დედასთან ქმარმა მთელი შეგნებით, განზრახ უღალატა. რაც უნდა ლამაზი ყოფილიყო, ვერასდროს აჯობებდა მასზე თხუთმეტი წლით უმცროს გოგოს და რაც უნდა შვილები ეჩინა, ბოლო შვილი მისი ქმრისათვის მაინც ყველაზე ტკბილი იქნებოდა. თუნდაც ნაბიჭვარი! ბავშვი ქმარს ართმევდა, საყვარელი კი ბავშვს იყო ამოფარებული.

მწვანე შუქი რომ აინთო, ნელა დაიდრა... მოულოდნელად მარჯვენა ხაზში მომავალმა დიდმა შავმა მანქანამ ჩაუჭრა... ეგონა, მუხრუჭი ვერ უშველიდა, ეგონა, შეასკდებოდა... თავი საჭეს დაარტყა. დარტყმის ხმა არ ყოფილა, მხოლოდ — მუხრუჭის. იმ შავ მანქანას არ გაუჩერებია, ვითომც არაფერიო, გზა განაგრძო. ვეღარ აიჭანა... მთელ უბედურებას, რაც შეეძლო, გაუმხელელად და მედგრად იტანდა, ახლა კი იმ ნაძირალას, რომელმაც კინალამ... კინალამ მოკლა... „კინალამ არ ითვლებო“ — გზა განაგრძო. ვითომც არაფერი... გაბმულად ასიგნალა მანამ, სანამ ის მანქანა არ გაჩერდა, იქიდან კაცი არ გადმოვიდა, მისკენ არ წამოვიდა... მძლოლი არ იყო, გვერდზე იჯდა.

— შე ნაბოზვარო, ვის უსიგნალებ! — დაულრიალა უცნობმა, ჩანულ ფანჯარაში თავი შემოყო და ხელი გაარტყა. მოულოდნელობამ დააბნია, ვერ მიხვდა, რა მოხდა. დარტყმა ძლიერი აღმოჩნდა და ცხვირიდან სისხლი წასკდა... თავი დაუცველად, უმწეოდ იგრძნო. რალაც უნდა ეღონა, გადათელავდნენ... ცხოვრებაში პირველად შეაგინა. სხვა მანქანებიც გაჩერდნენ. უცნობმა საბუთი ააფრიალა, იცოდე, ვინც ვარო. როგორც იქნა, სამი კაცი გადმოვიდა „ნაცნობი“ მანქანიდან და დააშოშმინეს... მაკას ხელი ისევ საყვირზე ედო. ისმოდა უწყვეტი ხმა, ყურისწამლებად და გულისგამაწვრილებლად. ტურები წითლად ეღებებოდა, სამოსს ფიფქებით აჩნდებოდა წითელი წვეთები. ვერ ჩერდებოდა. მთელი ხმით ყვიროდა...

— მოხვალ შენ ჩვენთან „სტანოკზე“. ციხეში ამოგალობო, ბოზო! — მიაძახა კაცმა ბოლოს და მანქანაში დაბრუნდა სამ დამხმარესთან ერთად. მაკამ მანქანა დაძრა. მოძალადე მანქანებობის იყო — რამდენიმე წამის წინ კი, ვინ იცის, შესაძლოა, მის ბორბლებთან აღმოჩენილიყო... მანქანა პარკთან გააჩერა. რა პარკი იყო, არ იცოდა. ხალხს ვერ ხედავდა და ეს მოსწონდა. მარტო იყო. შეურაცხყოფილი და მიტოვებული. მიტოვებული და გამოგდებული. სისხლი ისევ სდიოდა. ჟაკეტი გაიხადა, თავი უკან გადაწია...

სიცივემ გააღვიძა, აუტანელმა სიცივემ. მანქანა დაქოქა, გათბობა ჩართო... კარზე უცნობმა დაუკაკუნა. უცნობს ფორმა ეცვა. მანქანა კი მეოთხე იზოლატორის გარე ეზოსთან იდგა. ნებაყოფლობით ციხე იყო მაკას ცხოვრება. კარგად მოწყობილი, ეფექტური, სრული კომფორტით, მაგრამ — ციხე. ჰოდა, კარგად ნაჩვევი ნაცისარით უჭირდა ახალი ცხოვრების დაწყება. თავისუფლება. მართლობასთან დამეგობრება. ახალი ცხოვრება ჯუნგლებით იყო, გზა უნდა გაეკვალა და თავი ეპოვნა...

 დილის ხუთი იყო დაწყებული კარზე რომ დააკაკუნეს უცნობებმა. ნახევრად მეძინა. ოთახები დაიარეს, კარადები გამოაღეს, ლოგინის ქვეშ შეიხედეს... მერე ბოდიშის მოხდით რამდენიმე კითხვა დაამთავრეს.

— ქალბატონი მაკა აქ იყო?
 — კი. აქ იყო. რამე შეემთხვა?
 — ველეავთ, სახლში არ მისულა. ბატონი მურაზი ადგილს ვერ პოულობს...
 — მალე წავიდა. არ ვიცი, სად. აღელვებული იყო... დაურეკეთ?
 — გამოერთული აქვს! უკაცრავად შეწუხებისთვის... არსად არაფერი თქვათ, — მითხრა ბოლოს ბატონი მურაზის რალაცამ თუ ვილაცამ და ბინიდან გავიდნენ. ბატონი მურაზი მაჟორიტარი დეპუტატი გახდა სამი წლის წინ... მე იმ დროიდან მიცნობდა, მაკას რომ ვეთაყვანებოდი. თაიგული გამომდლიცა და სახეში მითავაზა... მაკასთან შანსი არ გაქვს, იმ კვირას დავინიშნეთო. ეს ამბავი არ ვიცოდი, გასტროლიდან ახალი ჩამოსულები იყვნენ...

მაკას გამოჩენა ტელევიზიით შევიტყვე, მურაზთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული რაიონული პარკის გახსნაზე იყვნენ. ლამაზი კაბა ეცვა, ილიმოდა, ნით-



ლი ლენტი გაჭრა... ვიცი, ჩემთან რატომ მოვიდა, ჩემნაირ კაცთან ლალატს მურაზი ვერ გადაიტანდა. მე ხომ არც ფული მქონდა და არც ძალაუფლება...

მეორე კვირას ბანკში რომ მივედი, უფროსმა დამიბარა. გამომიციხადა, ისეთი კარგი ადამიანის ახლობელი ყოფილხარ, უნდა დაგანინაურო და ფილიალიც შეგიცვალო. სამი წელი ვთხოვდი, ჩემს სახლთან ახლოს მდებარე ფილიალში გადავეყვანე. ორი პოზიციით დამანინა-აურეს, ხელფასი კი სამჯერ მომიმატეს. საქმე თითქმის არ მქონდა. ზედამხედველობა და კონტროლი — აი, ეს მეველებოდა — მკაცრი სახით სიარული და დროდადრო ცხვირის მალლა აწევა.

ბანკები და ფინანსები ჩემგან შორსაა, მაგრამ ცხოვრებაში ერთადერთმა პრაგმატულმა გადაწყვეტილებამ ჩემი არსებობა გადაარჩინა. ძირითადად, შაბათით და კვირით ვცხოვრობ — ჩემს ძველ სანადირო, ორლულიან თოფს მხარზე გადავიკიდებ და მთაზე ავდივარ. დიდ ჩიტებს ვხოცავ, ისიც იშვიათად. მომიკლავს გარეული ტახიც, მეღები და კიდევ ბევრი უმწეო, ტყვეს შევარებული ცხოველი. ხოცვა არ მიყვარს, იარაღი ითხოვს ამას. იარაღი კი მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, ტყეში აუცილებლად უნდა წაიღო. რაც მანქანა აღარ მყავს, სოფლის მთები შორია. ბოლო ორი წელია, თბილისის მალლობებს ვიპყრობ. ისევ კარგ ფორმში ვარ, აღმართებს არ ვუნელდები, ტალღებად მოწოლილი სიმხურვალეს ბალახში ვმალავ. მწვერვალზე ზურგანთან ვხსნი და არაყს ვწრუპავ. ზემოდან ყველაფერი ისე ჩანს, როგორც უნდა იყოს. იქ უძლველი ვარ. მერე რა, რომ არ გამიმართლა, არ კითხულობენ ჩემს წიგნებს, არ მონონთ ყდა, არ მცნობენ ქუჩაში... დაბლა ვიყურები და დაპატარავებულ ქალაქს მეც ისევე ვცნობ და ვკითხულობ, როგორც იმსახურებს. არ ვარ ცხოვრებაზე განწყენებული, პირიქით, ჩვენ ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაში ვართ, როგორც მიყურებს ის, უკლებლივ იგივე ვარ მისთვის... იქ, სიმალლიდან

რასაც მოითხოვ, ეგებ ავიხდეს კიდევ, მე კი სურვილები გამომლევია. აბა, სასაცილო არაა, იმ ხედიდან უკეთესი სამსახური ან ფული ითხოვო?! სიმშვიდეს ვითხოვ. რაც მაქვს, იმაზე მეტი არ არსებობს, იმაზე მეტი საცდურია.

მაკამ მითხრა, მაშინ — ადრე ეკლესიაში ღმერთს ვთხოვე, ყოველთვის ლამაზი ყოფილიყავი, ყველაზე ლამაზიო... რა შტერია მაკა და, ამავდროულად, როგორი ამაცი. რატომ არის ქალი ასეთი შტერი და უმწეო, რატომ პოულობს უბედურების ათას მიზეზს. რაც მაკამ ითხოვა, მიეცა და იმთავითვე დამარცხდა. რომ მეკითხა, უყვარდა თუ არა ქმარი, მიპასუხებდა, კიო. მაკას ასე სჯეროდა, ასე ასწავლეს. ასწავლეს, რომ გაზაფხული სიყვარულის დროა და წელიწადის ყველაზე ლამაზი პერიოდია. მდიდარი უფლისწულის საცოლე ყველაზე ლამაზია და სასახლეში ცხოვრება ტკბილი. დასრულებლად ტკბილი.

ქმარი არ უყვარდა. რა თქმა უნდა, არ უყვარდა. რაც მაკას მართლა უყვარდა, ის ყველაფერი რომ მიეცა — ქონება, სახლები, ფული... მაინც არ დათმობდა. არასდროს მესმოდა ბოლომდე ქალების და, ამავდროულად, ყველაზე მიუღებელი კაცის გაგება შემეძლო. ქმარს საყვარელი

— შენი ქმარი დაგვხვდება სახლში... — გაავფრთხილე და ამით ვაღიარე, რომ მისი ქმარი კვლავ ჩემი მეტოქე იყო. არაფერი შეცვლილა, ქმრის არ მემიწოდა. — ეგ შარშან იყო... გავიგე, წერსო, რომანსო... ჩემზე რომ წერდე, რას დანერდი, როგორ დამახასიათებდი? — მკითხა მაკამ ისე, როგორც მეგობრობის დღიურში კითხვა ნომერი რვა ან ექვსი.

— არ ვიცი...
 — მითხარი!
 — დავენდრი, რომ ცხოვრობ ქმართან, რომელიც არ გიყვარს და იმასაც არ უყვარხარ.

— რომ არ ვუყვარდე, წავიდოდა...
 — შენ არ უშვებ. მაგიტომაა ოჯახი ტანჯვა, უნდა და ვერ მიდის, შენ წასვლა შეგიძლია და არ მიდისხარ. იმას საყვარელი ყავს, თავს უშველა, შენ ვერ იშოვე და ამწარებ. ჰოდა, რა ქნას იმ შენმა ქმარმა, არც იქ მიდის ბოლომდე და არც შენთან რჩება.

— გაჩერდი, ამის მოსმენა არ შემეძლია... ამის მოსმენა გულს მტკენს! ჩემზე საერთოდ არ ფიქრობ. იმას ამართლებ. მე რას ვგრძნობ, არ გაინტერესებს. ვერ ვხვდები, როგორ შეუძლიათ ოჯახის დანგრევა.

— მაკა!
 — მიყვარს, რატომ არ გესმის?! მიყვარს. არ წარმომიდგენია სხვანაირად. უიმისოდ. მე მარტო, ის — ზედნიერი.

— შენი პატრონია, კი! მიჩვეული ძალღივით უკვე ყელსაბამის გარეშე დაყავხარ, ვაი, შენს პატრონს! — ეს რომ ვთქვი, გაეცინა.

უკვე მანქანაში ვისხედით და ქალაქის ცენტრისკენ მივდიოდით.

— ახლა აქ არაა... — მითხრა და სიჩქარეს მოუმატა. შუქნიშანთან მკვეთრად დაამუხრუჭა და ისევ მაკოცა.

— არ გაგიარა?
 — არა. თამაში ვისწავლე, — თქვა და ისევ გაიღიმა. რა თამაშს თამაშობდა, კარგად ვხვდებოდი.

სახლში შევიპატიჟე. ისევ ლუდი მქონდა. ვაკოცე. მომეხვია. ვგრძნობდი მის ვნებთან სხეულს და აღწილ სახეს... მინდოდა და ვუნდოდი.

— ამის მეტი არც არაფერი მსურდა, — მითხრა და ნაზად მომიშორა.

— ეს პრელუდია იყო, არა?
 — ესეც საკმარისია. სხვა დროს იყოს...

სხვა რამისთვის მოვედი, — მითხრა და იმ სკამზე ჩამოჯდა ადრე რომ ქაშპირის ჟაკეტი გადაკიდა, — რაც უნდა მოხდეს, იცოდე, რომ მერჩინა, იმ გოგოდ დავრჩენილიყავი, ფლამენგოს რომ ცეკვავდა. ახლა გვიანია ყველაფერი.

— შენ არ გიყვარს ქმარი. ცხოვრებამ გაგათამამა და სხვანაირად არ გასურს! გეზარება თავიდან დაწყება, მზამზარეული მოგწონს...

— ყოველთვის მაშინებდა შენი უგრძობლობა. მაშინაც, როცა ყველა მეუბნებოდა, დემნას უყვარხარო. არ შევმცდარვარ, ასეთი ხარ, ცივისსხლიანი და უგრძობი... არ მინდა, განყენიყო.

— არ მწყინს.
 — მე მარტო ერთხელ მიყვარდა და მხოლოდ ჩემი ქმარი. ახლა მხოლოდ ფორმალობა ჩვენი ოჯახი. ახლა მხოლოდ გარეგნულად უნდა იყოს ასე. არასდროს მილატა... ვწყველი ყველა ქალს, ვინც ჩემგან ნაიყვანა და რომ შემეძლოს...

— ახლიდან დაიწყე, მაკა... ისწავლე ცხოვრება. ისწავლე გაჭირვება. შეეშვი სხვა ქალებს.

— რომ შემეძლოს, საშინელებას დავმართებდი. გვიანია, ახლა გვიანია. ყოველთვის მშურდა შენი, როგორ იყავი ასეთი უგრძობი... როგორ შეგეძლო ჩემი გამოგდება. არ გამოხვედი, არ დამამშვიდე... მაშინაც, წერილი რომ მომწერე, გაბედნიერება მომილოცე. თუ გიყვარდი, როგორღა დამლოცე სხვა კაცთან ერთად... ახლაც, რომ წავალ და ჩემს გამოჩენას არ დაელოდები. არც არავის წასვლას იგლოვებ... როგორ ხარ ასეთი უგრძობი, როგორ შეგიძლია ასე.

— არ ვარ უგრძობი, მაკა...

— უნდა წავიდე!

— სად, რას აპირებ?

— დაბრუნებას, ჩემი ქმრის დაბრუნებას, თავიდან შეყვარებას. თავიდან უნდა შევუყვარდე.

— დასასრული მე-13 გვერდზე

დალილა ბედინიძე

გიშრის მძივმა შემოხაზა ყელი, ვით იღვრებს ყელს ლამაზი შველი. გიშრის მძივი უხდება თეთრ კაბას, სადღაც ცაში ვარსკვლავი თვალს ნაბავს. როგორ მინდა, რომ მხედავდე, როგორ და კვლავ ვიყო მე პატარა გოგო, ვთამაშობდე გიშრის მძივით ხელში, თვალს მიკრავდნენ ვარსკვლავები მრეში. გიშრის მძივმა შემოხაზა ყელი, ახალი ვარ, გიშრის მძივი — ძველი. ჩემი ბებოს ნაქონია მძივი, თითო მძივში კი თითო მზე ღვივის. არ მატყუებს სარკე სხივოსანი, ჩანს რომელშიც ღრუბლიანი ცანი, მეც მიხდება მძივი, როგორც ბებოს, ქარავანი დის და დე, იყეფოს ძალღმა, ავი თვალი ნეტავ ამცდეს, სარკე იყოს მხოლოდ კარგის მაცნე! გიშრის მძივმა შემოხაზა ყელი, ის არსებობს უთვალავი წელი.

ღამე — ფანსკუნჯი

თითქოს ფასკუნჯმა დადო კვერცხები ცაზე — ვარსკვლავები აკამკამდნენ და მთვარე კრუხად დაჯდა, რათა სინათლის წინილები გამოჩეკოს. ვმღერი — ესე იგი ცოცხალი ვარ და მიხარია, რომ ვარ ცოცხალი და სიცოცხლეს ვუმღერი და ვარსკვლავები ჩემთან ერთად მღერიან იმ უცნაურ საგალობელს, მხოლოდ უზენაესი საიდუმლოს მცოდნეებს რომ ესმით. ღამე მოფრინდა, როგორც შავი ფასკუნჯი და ვარსკვლავების კვერცხები დადო. ვზივარ ავტობუსში და თეატრიდან შინ მივიჩქარო და მტკვარს წითელა ბატონებივით გამოყრია ტანზე ლამპიონები და ვარსკვლავები და ნახევრად მძინარე ბანს ეუბნება ჩემს სიმღერას. ვმღერი — ესე იგი ცოცხალი ვარ და ჩემს თვალბუმში სამუდამოდ აღიბეჭდება კიდევ ერთი ღამე, ღამე — ფასკუნჯი.

ჩემი მშობლიური სახლი ორსულად არის ჩემზე და მე მის თაფლის ოქროში ამოვლებულ ტანში ვზივარ, როგორც კურკა ალუბალში. ამაღამ მე დავიბადები და ჩემთან ერთად დაიბადება ჩემი ზღაპრული რაში და ჩემთან ერთად დაიბადება ჩემი ოქროს ბულბული და ჩემთან ერთად დაიბადება პირმზიანი უფლისწული და ყველაფერი, ეს ყველაფერი დამეხედება და მე ვიქნები ახალ ცხოვრებაში, როგორც ახალ ზღაპარში, რომელსაც თან ვქმნი და თან ვაცხადებ. ჩემი მშობლიური სახლი ორსულად არის ჩემზე, მას ესმის ჩემი გულისცემა და სადაცაა მიხილავს კიდევ და მე სიცლით ვიბადები, რადგან ბედნიერ დღეს ვარ შექმნილი.

სუფთა ფურცელს, როგორც კარგ ამინდში ზღვის მშვიდ ზედაპირს, კენჭებით ვესვრი სიტყვებს და ამ სიტყვების ირგვლივ კეთდება წრეები ნიშნად იმისა, რომ მათ ზღვის სიღრმეს მიაღწიეს და ზღვაში ფესვი გაიდგეს, მერე კი ყვავილებად აღმოცენდნენ. ჩემში მნიფდება ლექსის სიტყვები. მკვახე სიტყვებიან ლექსებს მე არ ვწერ, არ მეხერხება, გავამკვახო სიტყვები. გემრიელია მნიფე სიტყვები და მათი გემო გამოუცნობ სიამოვნებას მანიჭებს და ვიგემოვნებ, როგორც ყურძენს რთველში, მტევენებად აკინძულს და დაშაქრულს. სუფთა ფურცელში, როგორც კარგ ამინდში ზღვის მშვიდ სარკეში ვიყურები და ვხედავ საკუთარ თავს სიტყვების წრეში, საიდანაც ერთადერთი გამოსავალია — უნდა ვწერო.



პიენი მზას

მზეო მზეთაო და მზეზე უფრო უმზევესო, მეუფეო, ეს შენი ნებით უძგერს მზე — გული ქვეყნიერებას. ცასა ცათასა იმყოფები და თვალნი ჩვენი ვერ გწვდებიან, ხოლო გონება შენგან მოილტვის, შენსკენ მიილტვის. შენა ხარ სამი და ერთარსება და ერთიანი და მთლიანი და უნაკლული. მზეო მზეთაო, შენ გევედრები მე — უბადრუკი, სანყალობელი მხევალი შენი — მიბოძე სიტყვა ისე ძლიერი, რომ დაგიბრუნო ყველა ვალი, რომელიც კი დამეკისრა მოვლინებისას. და სიტყვა იგი შენი ძალით ნეტავ აღმოხდეს ჩემს უძღურ ბაგეს და ჩემს სისხლში მიმოიფანტოს. დგას ჩემში ლექსი, როგორც სისხლი და სისხლი იგი შემღვრეულია გასაჭირთაგან. მზეო მზეთაო, შენ მიხსენი, შენ განმარინე სიტყვის ძალით, რამეთუ არის სულიერი ტყვეობა და უშენოდ ხელეხს მდუმარების ბორკილი ადევს შენ გადმომხედე, შენ დამიფარე მზეო მზეთაო და მომასწარი ჩემი სამშობლოს კვლავ გაბრწყინებას, რათა ისევე დაინეროს „ცასა ცათასა“, როგორც შევბა და გავიხაროთ.

დროის კლავიატურაზე ჩაცვნილი კლავიშებია ის დღეები, როცა არაფერი მიკეთებია და როცა შენ არ შემხვედრიხარ. ფიქრის კლავიატურაზე ჩავარდნილი კლავიშებია ეს ფიქრები, როცა ლექსი არ მომიფიქრებია და როცა შენთან არ მილაპარაკია. სიტყვების კლავიატურაზე ჩავარდნილი კლავიშებია ის სიტყვები, გულში რომ ჩავიკალი და ვერ გამოვთქვი. წვიმების კლავიატურაზე ჩავარდნილი კლავიშებია ის წვიმები, მარტო მე რომ მანვიმდა და მასველებდა და სხვებს არც შეუმჩნევიათ. დროის კლავიატურაზე ზედმეტი კლავიშია წელიწადის მეხუთე დრო, რომელიც არასოდეს ჩავარდება და რომელშიც მე ვცხოვრობ.

„მშია!“ — თქვა მოხუცმა ქალმა და გემრიელად შექექა წყალწყალა სუპს შუადღის თეფშიდან — „როცა გშია ზაქარია, ცივი მჭადიც შაქარია.“ დანაყრდა და, ფანჯრიდან გაიხედა. გარეთ წვიმდა, მაგრამ ნამალზე იყო წასასვლელი და გავიდა ღამე ვხედავდი ზურგიდან, წელში მოხრილი წლების წვიმის სიმძიმით როგორ ჰგავდა კითხვის ნიშანს.

მე ჯერ ძახილის ნიშანი ვარ და შეშინია კითხვის ნიშნად გადაქცევისა და იმისა, რომ ჩემი სადილი წყალწყალა სუპი იქნება და არავის არ შევებრალე, რადგან ყველას ისე უჭირს, გვერდით არავინ იყურება, მხოლოდ წინ იყურებიან, იქნებ წინამავალს ფული დაუვარდა და სანამ ასაღებად დაიხრებოდეს, დაასწრონ და აილონ. დილა ახალგაზრდაა, საღამო მოხუცია — უპატრონი მოხუცია და ღამე კი ერთი ჩვეულებრივი თავშესაფარი.

ოდნავ ვეხები პიანინოს კლავიატურას და აღმოვაჩენ, რომ მხოლოდ მაჟორული სამხმოვანება მახსოვს, დო-მი-სოლ — და სხვა აღარაფერი. დრომ ნაშალა ჩემს ხსოვნაში სხვა ყველაფერი, მაგრამ სმენაში სადღაც ახლოს გუგუნებს არღანი — ბახის ფუგა „რე მინორი“, რომელიც ძალას მაძლევს გავიხსენო ის წლები, როცა ნორჩი თითებით ვუკრავდი ყველაფერს, რის დაკვრაც პიანინოზე შეიძლებოდა და მსმენელების გაოცებული თვალები მახსოვდა — როგორც აღელვებული ტბა, რომლის ნაპირებიც ლერწამთა ნამწამებით იყო შემოზღუდული. როგორ მიქრის სიცოცხლე და შლის ხსოვნაში უკვდავ ბგერებს, როგორც ქარი უდაბნოში ყველა ნაკვალევს, რომელთაც მგზავრთა ხსნა შეუძლია. და მე ჩემს მხსნელ მაჟორულ სამხმოვანებას და ბახის ფუგა „რე მინორს“ ისე ვებლაუჭები, როგორც აღელვებულ წყალში მოკეთისაგან გადმოგდებულ თოფს და გვრძნობ, რომ მესამე ნაპირს ვუახლოვდები.

წვიმის შიშველ ტანზე აცვია წყალი და თოვლს შიშველ ტანზე აცვია ფიფქები და ისინი ცეკვით მოდიან, სიკვდილის ცეკვით — შეეხებიან დედამინას და — მორჩა! ცეცხლს შიშველ ტანზე აცვია ნაპერწკლები, მერე შიშველ ტანზე აცვია ელვა და ამ ელვაში იკითხება უკანასკნელი შუქი, რომლითაც აღბეჭდილია ცის კაბადონი. და ტყეს შიშველ ტანზე აცვია ფოთლები და მინას შიშველ ტანზე აცვია ბალახი და ქარს შიშველ ტანზე აცვია ღრუბლები და ყველაფერი იქით მიექანება, სადაც დრო — შემოსილი შიშველი წუთებით — დგას, როგორც სიცოცხლის ხე და საიქიოს და სააქაოს აერთიანებს. და ჩვენ სადა ვართ ამ სიშველში? წუთით ვართ და წუთით აღარ ვართ.

როგორც წყალში მარილი,
 გავუჩინარდი ბრბოში
 და ვინც ამ წყალს შესვამს,
 ის გაიგებს ლექსის გემოს.
 როგორც მდინარე წყლით,
 სავსე ვარ სიტყვებით
 და ეს სიტყვები ადამიანთა გულბივით ფეთქავენ
 და მიედინებიან არა დაღმა,
 არამედ — აღმა,
 არა ზღვისკენ, არამედ — სათავისაკენ
 და მდინარის კალაპოტი აკვანია,
 რომელშიც წევს ძე ახალშობილი,
 ოცდაცამეტი წელი რომ უწერია სააქაოში
 და საუკუნო ყოფნა ჯვარცმის შემდეგ.
 როგორც წყალში მარილი,
 უჩინარდებიან მისი სიტყვები ბრბოში
 და ათ მცნებას ის შეიმეცნებს,
 ვინც წყლის საიდუმლოს ეზიარება და
 გაუჩინარდება.
 ღმერთო, შეგვეწიე!

ყულაბა

მე ვარ ყულაბა,
 რომელშიც წკრილ-წკრილით ცვივიან
 ოქროს მონეტები — ბედნიერი წუთები.
 მე ვარ ყულაბა,
 რომელშიც ჩხრიალებენ გაჭირვების წუთები —
 შავი ხურდა.
 მე ვარ ყულაბა,
 რომელშიც გროვდება შესანიერი უფლისათვის —
 ლამაზი აზრები
 და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ვივსები
 და როდესაც ბოლომდე ავივსები,
 ჩემი პატრონი უფალი გამტეხავს
 და შეინირავს,
 რაც მთელი სიცოცხლე მიგროვებია
 და მაცხოვნებს,
 მე ასე მჯერა.
 ჯერ-ჯერობით სანახევროდ ვარ სავსე
 და წინ რამდენია, როდის ავივსები,
 არ ვიცი.

ციკლიდან „გაუგზავნელი წერილები მაკოტოს“

რა სწრაფად გადის დრო, როცა გხედავ.
 რა ნელა გადის დრო, როცა ვერ გხედავ.
 მარადიული მოლოდინის დასასრული
 ჯერ არ დამდგარა.
 ვინ იცის, რამდენი რამ მოხდება,
 სანამ კვლავ გნახავდე.
 ალტაცებული და მოხიბლული შევეყურებ შენს ხელებს,
 რომლებიც ხის ფოთლებივით თრთიან,
 როცა ზურგის ქარი წამოუბერავს.
 ალტაცებული და მოხიბლული
 ვუყურებ სცენას,
 სადაც შენ ხარ მეფე, რომელიც
 რჩეულია რჩეულთა შორის.
 რა სწრაფად გადის დრო, როცა გიყურებ
 და ჩემს სულში რა ქარიშხალი ტრიალებს,
 არავინ იცის.
 არც — შენ და ვერც გაიგებს,
 რადგან ეს წერილიც გამოუგზავნელია და
 ჩემი სულის ყვავილების ფურცლებზე წარწერილი
 ვინ იცის, იქნებ ისეთმა ქარმაც დაუბეროს,
 რომ შენამდე მოიტანოს და წაიკითხო.

შენ ხარ ქარისა და როგორც ქარს,
 შენ სხეული არ გაგაჩნია.
 და ჰაერით საზრდოობ და არა სხვა რამით.
 ქარივით მოქნილი ხარ
 და ქარივით აწყდები ალტაცებული თვალების ჯებირს
 და ყველა საზღვარს ისე ანგრევ, რომ
 ქვეყნიერებას აერთიანებ.
 შავი გედის ორი ფრთაა შენი ხელები
 და გრძელი თმა შავი გედის ბუმბულია.
 და კი არ დადიხარ, დაფრინავ სცენაზე
 და მუსიკას ისე ერწყმის შენი ფრთები,
 როგორც ქუხილს — შავი ღრუბლები.
 ვიცი, დაცარიელდება სამყარო ჩემთვის
 შენი წასვლის შემდეგ.
 ვიცი, ვერასდროს გეტყვი იმ ყველაფერს,
 რასაც ვგრძნობ, როცა სცენაზე გხედავ.
 არ ვიცი, კიდევ როდის გნახავ
 და სახსოვრად მრჩება შენი ღიმილი,
 როგორც ელვა მეხთატების დროს.
 შენ ხარ ქარისა, შენ ქარს ერწყმი
 და უსხეულო და ისეთი შორეული ხარ,
 როგორც შავი გედი აჯანყებული ზღვის ზემოთ.

გაგა ნახუცრიშვილი

სასხი

ვისესხე დრო, რომ მეცხოვრა ისევ,
 ის კიდევ გადის, ჯიუტად გადის,
 და გავქექცი ნაწყვეტებს სიზმრის,
 რომ დამენახა ფერები ცხადის.

არ დავიჯერე ზღვარის და ვადის,
 ნიღბებს ვაგდებდი, ცხოვრებას ვცვლიდი,
 ის კიდევ გადის, ის მაინც გადის,
 პირობას მირღვევს, ვერაგი, ფლიდი.

გამოვიგონებ სხვა გზებს, სხვა ხედებს,
 თუმც ბევრი, ბევრი, ვიარე უკვე,
 გამოვიგონებ... მოვასწრებ კიდევ,
 ის გადის, მაგრამ გუნდრუკს არ ვუქმევ.

ფანის ხა

უძილო ღამე, გადავინვი, მივხვდი,
 კარზეც ტლანქი და უხეში საკეტი,
 ვფხიზლობ და სიზმარი დამთავრდა თითქმის,
 ისე რომ ჩათვლენა ვერც კი გავბედე.

უძილო ღამე, მაგიდა, ნათურა,
 ფეხის ხმა, ვილაც არ იშლის ბორიალს,
 ზაფხულის მთვარე კი მიწას ახურებს,
 შენამდე წამია და თან შორია.

უძილო ღამე, უძილო საგნები,
 ღამე კი მთავრდება, გათეთრდა თითქმის,
 ფეხის ხმა, არც მეტი და არც ნაკლები,
 და მეც გავხვდი ერთი უძილო ნივთი.

აზნოსტიკოსი

უცებ მომინდა, რომ ღმერთის მწამდეს,
 ვიცოდე ზუსტად, მერე რას ველი,
 რამდენი დარჩა მინიდან ცამდე,
 რამდენი დარჩა კიდევ სათქმელი.

სად არის მაინც ჩემი სადგური,
 ყველაფერს ადევს სტანდარტის კლიტე,
 ხანა რუხი და ხანა-სათბური,
 რამდენი დარჩა წამები კიდევ.

გავზომავ მანძილს მინიდან ცამდე,
 წრენიერებს, წრეებს, ფურცელზე ვხაზავ,
 კარგი იქნება, ღმერთის რომ მწამდეს,
 კარგი იქნება, ვუყვარდე მასაც.

ფურცელი

ცარიელია ისევ ფურცელი,
 და ველარაფრის დაწერას ვლამობ,
 ასეთი დარჩეს, სუფთა, უცვლელი,
 რა საჭიროა სიტყვები ამო.

ვილას სჭირდება, ფიქრი, განცდები,
 ყველას თავისი ხომ აქვს ნაჭუჭი,
 თუ სინამდვილეს მაინც ავცდები,
 სიჩუმეს აღარ, ვარღვევ, ვაფუჭებ.

ცარიელია ისევ ფურცელი,
 არაფერს დავწერ და აღარ გავსვრი,
 დარჩეს ასეთი სუფთა, უცვლელი,
 როგორც ერთ დროს ვიყავი ბავშვი.

სადგურები

სადგურებს შესცვლიან სადგურები
 და ასე გაგრძელდება დინება,
 გზები მოგონებებს აბრუნებენ,
 და ისევ გამგზავრება მინდება.

სავსე, ცარიელი სადგურები,
 ახლო, შორეული სადგურები,
 ამბებს იწყებენ და ასრულებენ,
 რალაცას ჰყვებიან, მარწმუნებენ.

წარსულს აბრუნებენ სადგურები,
 თანაც მომავლისკენ იჩქარიან,
 ნავალ, რადგან ისევ დავბრუნდები,
 თუმცა ყველაფერი სიზმარია.

აუხსნელი

უცაბედი გრძნობა, აუხსნელი,
 როგორ არა, ბევრჯერ ამიხსნია,
 როგორც საიდუმლო, გაუხსნელი,
 მალე დავბრუნდები, დამიცდიან.

მალე დავბრუნდები, რადგან გითხრა,
 არ არსებობს უცაბედი გრძნობა,
 არ არსებობს აუხსნელი სიტყვა,
 არ არსებობს მარტოობის ყოფა.

არ არსებობს, ეს ჩვენ დავისიზმრეთ,
 რადგან სიყვარულის გვეშინოდა,
 მერე მარტოობა გავიფიქრეთ,
 მხოლოდ ამას გეტყვი, ეს მინდოდა.

სინანულის მარში

მახსოვს, სინანული როგორ მღრღნიდა,
 როგორც რალაც აბეზარი მარში,
 მეგობრები ბრუნდებოდნენ მთიდან,
 მეგობრები დარჩნენ სადღაც, მთაში.

და შორს გაქცევისთვის არ მეცალა,
 და მძულს, როცა ვინმეს ვეცოდები,
 რა ვქნა, არაფერი შეიცვალა,
 დამდევს ჩადენილი შეცდომები.

რალაც სინანულის მარში მღრღნიდა,
 სინანულის აბეზარი მარში,
 მერე, მეც დავბრუნდი თურმე მთიდან,
 მერე დავრჩი თურმე სადღაც, მთაში.

სინამდვილე და შენ

ნულარ დაეძებ, რაც მოხდა უკვე,
 ნულარ იხსენებ და ნულარ ელი,
 ზღვა დამრა, ღელავს პატარა გუბე,
 ასეთი გახდა სამყარო მთელი.

ნუ იმეორებ უწყვეტად წარსულს,
 სხვაზე დაწერე, ნუ მეორდები,
 თუმც სინამდვილე ასეთი არ გასურს,
 შეიცადე და ნუ დაშორდები.

გამოგეთხოვა, რაც შეგეშალა,
 და დაბრუნებას ტყუილად ელი,
 სინამდვილისთვის შენ არ გეცალა,
 თან შეიცვალა სამყარო მთელი.

ფანჯრის შუქი

შენი აღმართი და ქვაფენილი,
 შენი ფანჯარა და შენი შუქი,
 მხოლოდ ესლა არის დარჩენილი,
 მხოლოდ ამას მოაქვს სიმსუბუქე.

ჩემი გულუბრყვილო შეცდომები,
 შენი თვალები და შენი ტანი,
 ვიცი, უკვე აღარ გენდომები,
 უკვე გასულია დიდი ხანი.

აღბათ გავბედავ და კიდევ ერთხელ მოვალ,
 თუმცა გვიანია, ღამის საათია,
 მინდა, რომ მიაბო ყველაფერი, დროა,
 რაც კი მაპატიე, რაც ვერ მაპატიე.



2015 წელს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში სვეტლანა ალექსივიჩმა მიიღო. მისი ერთ-ერთი მთავარი წიგნი — „ჩერნობილის ლოცვა“ — შარშან გამოიცა ქართულად (თარგმანი ნინო ბექაშვილმა). ესაა დოკუმენტური რომანი, 20-წლიანი კვლევა-ძიების, ინტერვიუების, ჩანაწერების ერთობლიობა, რომელიც მძაფრი მხატვრული კონტექსტით და შემზარავი გულახდილობით გვიყვება მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ბოროტ ამბავს კაცობრიობის ისტორიაში — ჩერნობილის ტრაგედიაში. მე-20 საუკუნისა და, ალბათ, მარადისობის ბოროტებისა. ვინაიდან, მსგავსი ფაქტები ხომ მხოლოდ ერთ დროსა და სივრცეში არ ხდება. ისინი მუდმივად, ყოველწამს მეორდება, ჩადენის თუ აღსრულების დღიდან, ვიდრე კაცობრიობის გონიერი ნაწილი მის უარყოფას, დაგმობას და მასთან შებრძოლებას არ გადაწყვეტს. ეს „შებრძოლება“, ხანდახან ომზე მეტად, მშვიდობიან, სულიერ, კულტურულ და ინტელექტუალურ ამაღლებას უფრო გულისხმობს.

ჩერნობილის ტრაგედიის მასშტაბებთან, შესაძლოა, უფრო სუსტად გამოიყურებოდეს, მაგრამ ამ მარადიულ ბოროტ ამბავთან მწკრივშია აფხაზეთის კონფლიქტიც, უფრო სწორად, ქართულ-რუსული კონფლიქტი, რომლის ერთ-ერთი მსხვერპლი აფხაზეთი აღმოჩნდა. 1992-1993 წლების სისხლიანი დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ჩვენი დღემდე პირმოუკრავე ტკივილი და მწარე ხსოვნა — აფხაზეთის ომი.

ბევრი რამ დაინერა, ითქვა, მოფიქრდა თუ მოხერხდა, მაგრამ თავდაპირველ მოცემულობას — ჩალენილ ხიდს ძმათა შორის, გაყინულ ურთიერთობებს, დაკარგული ტერიტორიების აღდგენა-დაბრუნებას — არაფერი ეშველა. ბოროტება ბოროტებად რჩება და მასთან ყოველი მიკარება თითქოს კი არ აცხრობს, უფრო ამრავლებს მეტასტაზებს. მიზეზი ალბათ არასწორ მკურნალობაშია. სადღაც სხვაგანაა ჩაგდებული სიკვდილის მარცვალი და, იმ ალაგს უნდა მოიხებნა და მკურნალობის იქიდან დაწყება.

ჰოდა, როცა ტრაგედიის მასშტაბებზე ვამბობდი, აქ მხოლოდ მსხვერპლის რაოდენობა არ მიგულისხმია. იდეურად, ის, რისთვისაც ჩერნობილი და ისიც, რისთვისაც აფხაზეთის ომი მოხდა, ძალიან ჰგავს ერთმანეთს — ეს ადამიანის უსიყვარულობაა.

როცა ფიქრს ამ სიყვარულის ხარისხიდან იწყებ და ფაქტებსაც ამ ღერძზე ალაგებ, ხელთ სრულიად ახალი სურათი გჩრება.

საქართველოს უახლესი წარსულის ამ საზარელ კონფლიქტს ეძღვნება შორენა ლებანიძის დოკუმენტური რომანი „მანანა ანუა — ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, რაც ამ თემაზე ამ წლებში დაწერილა. ეს არის საჭირო, სასარგებლო წიგნი

(ამ განსაზღვრებების ყველაზე ამაღლებული და, ამავედროულად, პრაქტიკული გაგებით), მისი მნიშვნელოვნება კი მისსავე პოზიციასა, ძალიან მკაფიო, ნათელ დამოკიდებულებაში ომთანა და მშვიდობასთანაც. სწორედ ეს პოზიცია ანიჭებს ერთ კონკრეტულ დროსა და სივრცეში მომხდარ, ერთი ლოკალური კონფლიქტის ამბავს მარადიულ აზრს და ისევე გლობალურსა და მასშტაბურს ხდის ნებისმიერი ქვეყნის, ეთნოსის, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის მკითხველისთვის, როგორც ყველა სხვა დიდი ამბავი და ტრაგედია, როგორც ყველა საერთო საკაცობრიო საკითხავი...

წიგნი აფხაზეთის ომის ერთ ეპიზოდს — 1993 წლის ივლისში სოფელ კომანში დატრიალებულ ტრაგედიას ეხება. კომანი აფხაზეთის ულამაზესი სოფელია, რომელ-

ნინო სადღობელაშვილი

შეტყობინება კონფლიქტის ზონიდან

იც სოხუმიდან ათიოდე კილომეტრში მდებარეობს, მის მიწაზე კი მართლმადიდებელი სამყაროს რამდენიმე სინაგოგა მოიყარა თავი: აქაა წმინდა ვასილისკოს წყარო, იოანე ნათლისმცემლის თავის ქალის მესამედ პოვნის ადგილი, და ბოლოს, აქაა იოანე ოქროპირის მონასტერი, სადაც 1993 წლის თებერვალში, ვიდრე მონამეობრივ აღსრულებამდე, წინამძღვრად მსახურობდა 27 წლის მამა ანდრია, ერისკაცობაში პაატა ყურაშვილი, ვისი სახელიც და საქმეც, მისი აღსასრულის დღიდან, ღვთისათვის თავგანწირვის, სულიერებისა და სიმტკიცის მაგალითად დარჩება არამხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზებს შორისაც...

წიგნის მთავარი გმირი კი — მანანა ანუა, აფხაზი ერისკაცის, პოლიტიკურად გაველნიანი მაღალჩინოსნის, ქველმოქმედისა და ასევე მონამეობრივად აღსრულებული იური ანუას ქალიშვილია. რომანი პირველ პირობა დაწერილი და მანანას მონათხრობს ეფუძნება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოწმის და თვითმხილველის ჩვენებას, თუ რა მოხდა 1993 წლის ივლისში, კომანში. მანანა ანუა მამის 27 წლის გოგონა იყო, დედით (ზოია ადამია) ქართველი, მამით აფხაზი. კომანში, გერლიან-გვიჩიანების, პაკელიან-გურჩიანების გვერდით ცხოვრობდა და მშობლებს წმინდა ადგილების მოვლა-პატრონობაში ეხმარებოდა, რადგან იური ანუას კომანთან დაკავშირებით დიდი გეგმები ჰქონდა — სახელმწიფო მასშტაბის, რელიგიური ტურიზმისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას აპირებდა. მისი პოზიცია ომის დაწყებამდეც და მერეც მყარი და ცხადი იყო და ამაში მას სწორედ ქრისტიანული მრწამსი დაეხმარა — იური ანუა ვერ

დადგებოდა ვერც აფხაზების და ვერც ქართველების მხარეს, რადგან მისთვის ორივე ეთნოსი თანაბრად მშობლიური იყო, მათ ძმებად აღიქვამდა და ძმებს შორის მტრობას კი — ყველაზე დიდ, თავსმოხვეულ ბოროტებად. ამდენად, იური ანუა საეჭვო პერსონად იქცა როგორც აფხაზებისთვის, ასევე ქართველებისთვის, მას ორივე მხრიდან ჰქონდა პრობლემები, მისი ეს პოზიცია მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა ომის ისტერიკაში ჩართული ორივე მხარისთვის. „იური ანუასთვის ომში მონაწილეობა საკუთარ თავთან დაპირისპირებას ნიშნავს. მამა პიროვნული მთლიანობის, ანუ წარმომავლობისა და მენტალობის, სხეულისა და გონის ერთობაზე დაფუძნებული ფიზიკურ-სულიერი ნონასწორობის, რღვევას არ დაუშვებს. ის აფხაზია და თან ქართველი. შესაბამისად,

— პასუხობს მანანა ანუა მამამისის განმკითხველს.

იური (გიორგი) ანუა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მამა ანდრია მტკიაროსნად აკურთხა. საერთოდ, განუმეორებელი და რაღაც ახალი, სამუდამო და მაცოცხლებელი ფიქრის აღმძვრელია ამ ორი ადამიანის ტანდემი, წიგნიც და ცხოვრებაც (წიგნი მთლიანად დოკუმენტურ სინამდვილეს ეფუძნება, ამდენად, მონაყოლის სიმძაფრე თავისი რეალობითაც თრგუნავს და აფხიზლებს მკითხველს) — აფხაზი იური ანუა და ქართველი მამა ანდრია. სარწმუნოების მთავარი ღერძის — სიყვარულის ძალით შეკრულები და განმტკიცებულები, ეთნიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე აღმატებულები და სრულიად განმცდელი ქრისტიანული ჭეშმარიტებებისა. მათი სიყვარული ურთულეს მცნებას დაემთხვა: გიყვარდეს მტერი შენი. ამ სიყვარულმა ორივე გაათავისუფლა მტრის ხატისგანაც. ორივე იქცა იმის მაგალითად, რომ, თუ ძალიან დაუკვირდები, მტერი საერთოდ არც არსებობს, ბუნებაში არ არსებობს, არსებობს მხოლოდ, აი, ასეთი, წარმოდგენილი, დაუჯერებელი, ხშირად დაუშვებელი სიყვარულიც — როგორც აფხაზ იური ანუას და ქართველ მამა ანდრიას ჰქონდათ ადამიანის, სიცოცხლისა და ღვთის მიმართ.



ეს სიყვარული ჩვენს დროში, აი, ამ ამბავში, გაგანია ომში დაიშვა. ეს მოხდა ჩვენს თანამედროვეობაში, უახლეს წარსულში, ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში და, წესით, ბევრი რამ უნდა შეცვალოს ამან. ამის გაზრებამ. ჩვენ უნდა შეგვცვალოს. ჩვენც — ქართველებიც და აფხაზებიც. ამ წიგნის მკითხველები — რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ისინი, რადგან დღეს, როგორც არასდროს, მსოფლიოს ასეთ ამბავში დარწმუნება სჭირდება, ასეთი შეტყობინება: მტერი არ არსებობს! არსებობს მხოლოდ სიყვარული და ეს შესაძლებელია!

ამ ამბავმა მამინე, ომის დროსვე, შეცვალა ადამიანების ცხოვრება. რომანში რამდენიმე პერსონაჟია, აფხაზი მეზობლები, ვიხეც ისე მძაფრად იმოქმედა იური ანუას და მამა ანდრიას მონამეობრივმა აღსასრულმა, რომ აქამდე აზრდაუტანებელ სინანულში დააფიქრა... მეომრების ამ რეალექსიას მონასტერში ტყვედმყოფი ზოია ადამიას და მანანა ანუას გმირულმა შემართებამ, მათმა მტკიცე საქციელმა შეუწყო ხელი — ეს ქალები ხომ თავგანწირვის, გამძლეობის ყოველწამიერ მაგალითს იძლეოდნენ — უვლიდნენ და იცავდნენ მამა ანდრიას საფლავს მონასტრის ეზოში, პატრონობდნენ ტაძარში შესიზულ უმწეო ინვალიდებს, დაჭრილებს, იცავდნენ საკუთარ სინაგოგას და სახელს და, რაც მთავარია — ვინმეს მიმართ გაბოროტებით კი არა, ისევე სიყვარულით, იმ საერთო, მთლიანი, ადამიანური სიყვარულით, რომლის აღმსარებლებიც — მათი უძვირფასესი ადამიანები, ამ სიყვარულის გამოვე ნანამები და დახვრეტილები, მინაში ინვენ.

როცა სინანულის მდგომარეობაზე, თვითწარმავებაზე და ამის გადადგებ ძალაზე ყვება, მანანა ანუა აფხაზი მეომრების ერთ საფულისხმო ფაქტორსაც გამოყოფს — „თუ დავიჯერებთ, რომ აფხაზები და ქართველები თანაბრად კუთვნილი ტერიტორიისთვის ვხოცავთ ერთმანეთს — ხარბი, გაუმადარი ძმებავით, მამა-პაპის მემკვიდრეობა რომ ვერ გაუყვიათ — მოგვინებს ვალდაროთ, თურმე აბსურდულ ომში ძალაუწებურად ვართ ჩართულები“.

„აბსურდული ომი“, „ძალაუწებურად“ — ეს ის ჭეშმარიტებებია, რომლებსაც გული აღიარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, გონება არა. დღემდე არა. სადღაც ძალიან ღრმად ჩაიდო ნაღმი, ბოროტების მარცვალი და, დღემდე ეს უშლის ხელს, გულის კანონები რომ აღსრულდეს. სამწუხაროდ, ხშირად მამა ანდრიას და იური ანუას გმირობაც გვაფიქვანებდა (ჩვენც და აფხაზებსაც), ეს კი ისეთი ამბავია, ყოველ დღი-საღამოს პირადი ლოცვასავით რომ უნდა გაიხსენო და იმეორო, რომ გულიდან გონებაშიც გაჯდეს, უფრო მეტად შეგეხოს და შეგცვალოს, საბედისწეროდ, სასიკეთოდ შეგცვალოს...

მამა ანდრიას დამ, ძალიან კარგმა მწერალმა ცირა ყურაშვილმა, თავის არაერთ მოთხრობაში დაწერა მამა ანდრი-

